

ახალი გვარ ყველა  
ხუთაცი. ვაჟა

# ორი ლექცია

ბარბარე სერხეელიძისა



წაკითხულია ქ. თბილისში ზუბალაშვილის სახალხო  
სახლში, და ქ. გორში. 1911—1912 წ—ში.



გამოცემა თავად. ვლადიმერ ომანის-ძე ხერხეულიძისა.



ტ ფ ი ლ ი ს ტ.

ელექტრო-მბეჭ. სტამბა ა. კერძელიძისა, გაბაევის შესახ, № 1.,  
1913 წ.



# ო հ Ո Հ Ա Յ Ա Ռ Ո Վ


ծ ա ր ծ ա ր յ է յ թ է յ թ յ լ ո մ օ մ օ ս ա



Բայց ուղարկութեան վ. տօնալութեան նշանագիրը նաև առաջին  
սահմանական պատճեան, ու յ. պատճեան, 1911—1912 թ.—թու.

10363

ՅԱՅԻ. 30 յ.



ցամուսքի տարած. զլադոմեր ոմանու-ց երեխյանուսա.



6 3 0 3 0 6 0.

յ լ յ է թ ր ո մ ծ ե յ է թ ։ Տ ր ա մ ն ա ։ Կ ր յ է թ յ լ ո ւ ս ա , ց ա ծ ա յ զ ո ւ ս ։ Շ ե ս ա ։ Ն ո ւ 1 . ,  
1 9 1 3 ։

# ლექცია პირველი

“გედიოერებამდის“

## I

თჯახი და ქორწინება წარსულში.

მწყობრად და ლამაზად სიტყვების გამოთქმაზე აქ საკირო არ არის ზრუნვა, საქმე, საქმეში და საქმის კეშმარიტებაშიაო, სთქვა გოგოლმა, და მე ვგონებ ეს მოსაზრება ისე არაფერს უნდა შეეფერებოდეს, როგორც დღევანდელს ჩვენის ცხოვრების ხანას; დღეს, როდესაც ჩვენი ცხოვრება განახლების საფეხურზე სდგას და თვითეული კერძო პირი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს მომავალ ცხოვრების სალაროში, ნაკლებად არის საკირო ზრუნვა მწყობრად და ლამაზად აზრის გამოთქმაზედ, დღეს, უმთავრესი მნიშვნელობა აზრსა და აზრის კეშმარიტების ღირსებებში მდგომარეობს და ამიტომ-ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოგასმინოთ ჩემი არა მჭევრ-მეტყველური სიტყვა. ვსცდილობ კი ყოველთვის, რავდენადაც ძალი შემწევს, გარკვევით გადმოგცეთ ჩემი აზრები და ამით მოვიხადო ჩემი მოვალეობა. ჩემის ღრმა რწმენით, საჭიროების დროს მცირედის თქმა სჯობს არა თქმასა და ამ შემთხვევაში არ მაშინებს თქმულება? — „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ — ი, დანაშაული დევ იმათ გვამხილონ ვისაც ძალა შესწევთ ამისთვის, დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ვსცდებით და ჩვენ სიამოვნებით მხარს დავუჭროთ ჩვენს აზრზედ უკეთესს აზრს. ბატონს ანდრეევს უკიუნებენ, რომ ის სუსტი

ლექტორია, დაეხსენ იყოს სუსტი, თუკი ის ძალა მაინც; შესწევს რომ აღძრას და დაუყენოს საზოგადოებას გადასაჭრელად ისეთი საჭირ—ბოროტო საკითხები, როგორიც არიან დღეს ოჯახის და ქორწინების საკითხები. ის ყოველთვის ას რელებს თავის მოვალეობას და გულ-წრფელადაც აღიარებს თავის ნაკლს, ჩვენი მოვალეობაა-განვმარტოთ ყველა საჭირო საკითხები, ვისაც როგორ ძალ-გვის და ვფიქრობ, არც უნდა შესწყდეს ასეთ მწვავე საკითხების შესამუშავებლად აზრთა კამათი თითო-ოროლა ლექციებით, აქ საჭიროა რაც შეიძლება მომეტებულმა წევრმა საზოგადოებისა მიიღოს მონაწილეობა, ასე ხდება ხოლმე ყოველ უბრალო საკითხების გადაჭრის დროს და ასევე უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, რადგან შეიძლება თვითეულმა უვიცმა ერთი კვიანური სთქვას.

დღეს, მე მინდა შევეხო. უმთავრესად, ოჯახის და ქორწინების საკითხებს, მაგრამ ამასთანავე მინდა გავარკვიო რავდენადაც შევძლებ, ბეღნიერების საკითხიც, რადგან ამ საკითხის გარეშემო ტრიალებენ ყველა სხვა ცხოვრების საკითხები, ყველა მისწრაფის უმთავრესად მისკენ და ყველა უკმაყოფილო და უბედურია რაკი ვერ ხვდება ჭეშმარიტ ბეღნიერებას. მხოლოდ, ვიდრე გაგიზიარებდეთ ჩემს აზრს ამაზედ, საჭიროდ ვრცხ ჯერ გადმოგცეთ მოკლედ, როგორ ესმოდათ (უმთავრესად) ეს სიტყვა უწინ უმრავლესობას, რაში ჰქედავდენ ისინი ბეღნიერებას და როგორ ესმით ეს დღეს.

უწინ ბეღნიერება ისაზღვრებოდა უმთავრესად, თვითეულ კერძო პირისთვის, ქორწინებით და ოჯახურ კეთილ-განწყობილებით: როდესაც ახლად დაქორწინებულ პირთ შეხვდებოდენ ნაცნობ მოკეთენი, ულოცავდენ: მოგვილოცავს თქვენი ბეღნიერებაო, და ისინიც მდაბლად და სიამოვნებით მადლობას უხდიდენ მიმღეცველთ; დღეს, როდესაც ვხვდებით ასეთ-სავე პირებს და ვულოცავთ, ესენი უკმაყოფილოდ გვიპასუხებენ: —რის ბეღნიერება, რა ბეღნიერება? როდესაც შეიძლება ხვალ და ზეგ ჩვენზე უბედურები არავინ იყვენო, ბეღნიერება

შაშინ შეგიძლიანთ მოგვილოცოთ, როდესაც რავდენიმე ხანს ვიცხოვრებთ ერთად, შევეწყობით ერთმანეთს და განმტკიცდება ჩვენი სულიერი კეთილი — განწყობილება ერთმანეთშით

როგორც ჰქედავთ, ორივე შემთხვევაში, არ არის სიტყვა ბედნიერება გაგებული მის ფართო მნიშვნელობით, ერთობ ვიწროდ არის წარმოდგენილი ხან—მოკლე და წარმავალია, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

პირველად დავიწყებ ოჯახის და ქორწინების საკითხებით თუ გავიგეთ სისწორით წარსული, ის ხსნის მნიშვნელობას არ სებულისა და გვიჩვენებს სახეს მომავლისასო, ამბობს ფერდინანდ ლასსალი და ჩემის—აზრით, სწორედ ეს წარსული ვერ არის სრულებრივ ნათლად გაგებული და ახსნილი.

სხვათა შორის, ვერ იქმნა ნათლად გაგებული—რა საფუძველზე წარმოიშვა ქორწინება. ე. ი. „კანონიერი ჯვრის წერა“, რისთვის დასჭირდათ მამა—კაცებს „კანონიერი მეუღლები“, როდესაც იმავე დროს, რავდენიმე სხვა და სხვა პირებთან ჰქონდათ კიდევ კავშირი—ყოველთვის, და ყველა უფლებებიც თითონ ეჭირათ ხელში თავისუფლად. მარათლია, კერძო საკუთრებამ წარმოშვა საჭიროება ოჯახის და კანონიერი ქორწინებისა, მაგრამ ეს არა კმარა მარტო საგნის გასარკვევად და საჭიროა უფრო ნათელი საბუთები.... ჩვენ ვიცით გეტერები, რომლებთანაც მამა—კაცებს ჰქონდათ კავშირი უწინ, ეს გეტერები იყვნენ, ძველ საბერძნეთში განთქმული ქალები თავიანთი სილამაზით და ნიჭით. „მათმა სახელ—წოდებამ და სახელმა მოაღწიეს ჩვენ დრომდე, მაშინ როდესაც სახელები კანონიერ ცოლებისა, უმეტეს შემთხვევაში, არა სხანან და დავიწყებულია“—ო, ამბობს ბებელი—, „დანაია, იყო საყვარელი პლატონისა და არ იყო არც—ერთი ცნობილი ბერძნი, რომელსაც არა ჰქონდა დამოკიდებულება! გეტერებთან“—ო.

ამისთანა გარემოების შემდეგ, კიდევ უფრო გვაქვს საბუთი—ვიკითხოთ: რილასთვის იყო საჭირო კანონიერი მეუ-

დლე“ და „კანონიერი ქრწინება? რომ ვუპასუხოთ ამ კითხ-  
ვებზე უფრო გარკვევით, საჭიროა მოვიყვანოთ კიდევ ერთი  
ისტორიული მაგალითი: აფინები ამბობენო, რომ ჩვენ ცოლს  
იმიტომ ვირთამთ, რომ გვყამდეს კანონიერი შვილები და სახ-  
ლში ერთგული ყურის — მგდებელიო, აგრეთვე, ჩვენ ვინახავთ  
ცოლებს, ჩვენზე საყურადღებოდ და გეტერებთან კი ველევით  
სიყვარულის სიამოვნებას და სიხარულსო. ყველა აქედამ ცხა-  
დათ სხანს ახლა,— რად შეიქმნა საჭირო კანონიერი ქორწი-  
ნება“: მაშინ ოჯახი აშენებული იყო მხოლოდ, წმინდა, ნა-  
ტურალურ სამეურნეო საფუძველზე, ასეთი ოჯახი კი მეტად  
რთული და ძნელი გასაძლოლია ერთი პირისთვის, აქ საჭიროა  
კიდევ სხვა ერთგული გამგე და დარაჯი; გარდა ერთის პირი-  
სა, და რომ უფრო მტკიცე ყოფილიყო ეს ერთგულება, ქა-  
ლები მოჰქიცილეს მამა — კაცებმა, თავიანთი კერძო საკუთრების-  
მონური გმმებლობით და დააგვირგვინეს „კანონიერი ჯვრის.  
წერით“; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კერძო საკუთრებას  
მოელოდა, სრული დაცუმა და განადგურება.

მაშასადამე, ბედნიერი უნდა ყოფილიყო ცოტად თუ ბევ-  
რად — მამა — კაცი, რომელსაც შეხვდებოდა ისეთი ერთგული-  
და გამჭრიახე მეუღლე, რომელიც არ გაანადგურებდა მის,  
კერძო საკუთრებას, პირიქით გაადიდებდა კიდეც და  
მასზედაც ყურადღებით იქნებოდა, სიყვარულს ის სხვა მხრი-  
თაც ჰპოებდა როგორც ვსოდეთ ზევით. ცოტად — თუ — ბევრად,  
ბედნიერებას შეადგენდა დედა — კაცისთვისაც ქორწინება და  
ოჯახი წარსულში, რადგან, რაც უნდა ცუდი გამგე ყოფილი-  
ყო ოჯახისა, მაინც ქმარი მოვალე იყო, ეცხოვრებინა ის  
შვილებით, განქორწინება ძნელი წარმოსალგენი იყო და იმე-  
ლი ჰქონდა მას, მშიერი მაინც არ მოკვდებოდა, ათასი საყვა-  
რელიც რომ ჰყოლოდა იმის ქმარს.

დღეს კი, რაღად უნდა მამა — კაცს გამგე და ყარაული  
ოჯახისა ქალაქად, როდესაც, თავის პატარა თუ დიდს ფულის-  
ქისას თითონაც ჩქარა ფლანგავს და აღარაფერი აქვა.

საყარაულო. შვილებიც აღარ ეინტერესება,—რა ქონება გადასცეს? მეორეს მხრით, მოქალაქებრივი. ცხოვრების. განვითარება თვალსაჩინოდ აშორებს ოჯახს ქალებს და მიერეკება ოჯახს გარეთ; სად არის ოჯახი სხვა—და—სხვა და წესებულებაში მოსამსახურე ქალებისთვის, რომლებიც დაწყვეტილ—დაქანცულნი ბრუნდებიან სახლში, მხოლოდ სადილისთვის და მერე ისევ იქვე მიეშურებიან; სად არის ოჯახი მკერვალი ქალებისთვის, რომლებიც დილიდამ საღამომდის და ხშირად შუა—ღამემდის თავ—აუღებლივ მუშაობენ სამკერვალოში და იქვე სადილობენ, როგორც გაუმასპინძლდებიან; სად არის ოჯახი ფაბრიკებში მომუშავე ქალებისათვის და სხვა—და—სხვა. ესევე ითქმის მოქალაქე მამა—კაცებზედაც. ცხოვრება კიდევ, შეუჩერებლივ მიერეკება ხალხს სოფლებიდამ ქალაქებში, ქალაქი კი ცის ქვეშ ჰყრის ამ ხალხს, და წარსული ოჯახი ისპობა,—სულს ღაფავს სასიკვდილოდ, ანუ უკვე მკვდარია და ვეღარა ვითარი წამალი და ჯანიოზ. ექიმი მას ვეღარ მოარჩენს; ამისი უტყუარი საბუთებია კიდევ: ურიცხვი მაგალითები საკუთარი შვილების „გაყიდვისა“ და გადაყრისა, განქორწინებისა, უწლოვან ბავშვების „თავის გაყიდვისა“ ქუჩებში და მრავალი სხვა ასეთი საზარელი მოვლენები.“ თუ როგორ იხრწნება ოჯახი ჩვენს დროში, როგორ, შორდებიან ერთმანეთს ქმარი ცოლი და შვილი, და დაუქორწინებლად დარჩენა და პროსტიტუცია მასობრივ მოვლენად ხდება“, ამის დაწვრილებით ახსნას მე არ გავუკები, რადგან შვენივრად აქვს ეს გენმარტებული კარლ კაუცის და მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მას.

ამგვარად, აღარ არის ძველი ოჯახი, უნდა შემუშავდეს ახალი, ამის უარ ყოფა აღარ შეიძლება, მაგრამ რა სახით? აი ეს არის მეტად ძნელი და მძიმე ასაწონ—დასაწონი საკითხი ამ საკითხის სისწორით გადასაჭრელად, აუცილებლად საჭიროა კიდევ, შეგნება გარკვევა სიყვარულის და თავისუფლების საკითხებისაც საზოგადოდ, რადგან ეს საკითხები მჭიდროდ არიან

შეკავშირებული ქორწინების და ოჯახის საკითხებთან. ეს საკითხებიც რთული საკითხებია თავ—თავის მხრით და ცალ—ცალკე უნდა იქმნენ ახსნილნი და განმარტებულნი...

დღეს, უმთავრესი გასაჭირი ოჯახის და ქორწინების ცვლილებების გადასაჭრელად მდგომარეობს იმ გარემოს ებაში, რომ სოფლად ჯერ კიდევ არსებობს ოჯახი ნახევრად სამეურნეო სახით და იქ სრული ცვლილებების შეტანა ჯერ—ჯერობით ძნელი მოსახერხებელია, მაგრამ თუ მიეცემათ-იგივე იურიდიული და ზნეობრივი უფლებები როგორც მოქალაქეებს, ისინი არაფერს დაპარგავენ ამით ჩემის აზრით, ისინი უცებ არ მიპარავენ ქალაქებს, მინამ გარემოება არ აიძულებთ მათაც—იხელმძღვანელონ ახალის წესებით ამიტომ მე პირდაპირ გადავალ ამ ხელად, თანასწორ უფლებების საჭიროებაზ და ვიტყვი მოკლედ, რომ მხოლოდ ასეთ უფლებების შემდეგ მიმაჩნია შესაძლებლად სრული სისწორით გადაჭრა ყველა საკითხებისა. მინამ კი რაც ცვლილებებია შესაძლებელი, (საჭირო), ვიტყვი ქვემოდ.

დღიდამ კომუნიზმის და მატრიარხატის გაუქმებისა, ცხოვრების პირობებმა აიძულეს მამა—კაცები,—ჩამოერთმიათ ჩვენთვის ყველა ის უპირატესი უფლებები, რომელებითაც სარგებლობენ დღეს თთონ, ჩაგვკეტეს ოჯახის ოთხ—კედელ შუა, გადაგვაქციეს ერთი მხრით თავიანთ გასართობ საგნად,—მეორეს მხრით—ხმა ამოუღებელ მომუშავე მონებად ოჯახში. ქალის საწოლთან ეკიდა მათრახი, როგორც ემბლემა, ნიშანი სარწმუნოებისა; დემოკრიტი თავის აფორიზმებში ამბობს: „—ქალი ნუ ილაპარაკებს ბევრს, რადგან ეს საზიზღარიაო“, ან კიდევ: „მცირე სიტყვაობა, დამამშვენებელია ქალისაო“.

ამგვარად, ჩამოვშორდით ქალები ერთმანეთს, გაწყდა ჩვენ მორის შემაერთებელი კავშირი და შევიქმენით ურთიერთის მოწინააღმდეგე მეტოქეებად. რაკი ჩვენ შევიქმენით მამა—კაცების მომხიბლელ და გასართობ საგნად, აქედან ცხადია, —ყველა ჩვენგანი მხოლოდ იმას უნდა ცდილიყო—რაც შეიძლე-

გოლა სხვაზე შეტად მოქნიბლა მამა — კაცი და ამ ჩვენი პირა-დობის დამამცირებელ ზე წეულებისთვის სამწუხაროდ, ჯერაც კიდე ვერ დაგვიღწევია თავი. სხვათა შორის, იმავე მიზე-ზების წყალობით მივიღა კიდე ქალების გადიდებული მოდის მოთხოვნილება იმ ზომამდე, რა ზომითაც ვხვდებით დრო და დრო მეტად დამამახინჯებელ და საზიზლარ სახით; რაც ისე ძიელ აწუხებთ და არ მოსწონთ ჩვენს მამაკაცებს

ამბობენ: რუსეთში ქალებს მეტი უფლებები ჰქონდათ ვიდრე სხვაგან საღმეო და კი აღარ გვიჩვენებენ რაში მდგომარეობდა ეს უპირატესობა. მართალია სთქვეს საბუთად, რომ რუსეთში ქალები მეტს მუშაობდნენო, მაგრამ განა ეს საბუთებია? დიახაც, ეს სრული ჟეშარიტებაა, რომ რუსეთში ქალები ყველაზე მეტს მუშაობდნენ და მუშაობენ ოჯახში და ოჯახს გარედ, მაგრამ ეს საბუთები კი არა, სწორედ ეს გახლავთ თუ გნებავთ სრული საბუთი უუფლებობის და მეტის დამონებისა. იქნება იმაში იყო მეტი უფლება, რომ ქალი — შეილს მეთოთხმეტედი ეკუთნოდა მამის ქონებისა და ქვრივს მეშვიდედი ქმრის ქონებისა; ან იქნება იმაში იხატებოდა მეტი უფლება, რომ როდესაც გლეხის ქვრივი თხოვდებოდა — ქრმის ქონება ბატონს რჩებოდა თუ შეილები არა ჰყავდა.

მე ვგონებ, ეს შეცდომა იმიტომ მოსდით, რომ ურევენ ერთმანეთში სიტყვებს: უფლებას და თავისუფლებას.

## II

### სიყვარული და მისი მნიშვნელობა საზოგადოდ.

ახლა გადავალ მასზედ, თუ რაზედ უნდა იყოს დამყარებული დღევანდელი ოჯახი. ოთხს მარტს 1911 წ., საზოგადო კლუბში, როდესაც უფ. ანდრეევმა წარმოსთქვა აზრი, რომ რადგან სიახლოვისა გამო, თვითეული ცოლ — ქრმის წერილ-მანი რამ მათ დამოკიდებულების ამწვავებს და არღვევსო, ამიტომ თაობითვე სრულიად ცალ — ცალკე რომ იცხოვრონ შეიძლება ეს

უმჯობესი იყოსთ, ეს აზრი ზოგს არ მოეწონათ და ზოგიც  
გაკვირვებულნი დარჩენენ, მაგრამ უნდა ვალიარო, — მე ეს არ  
გამკვირვებია, რადგან წინ — და — წინვე ვიცოდი ერთი უფრო  
ორგინალური „რეცეპტი“ ამ საგნისთვის: — „არამც თუ ცალ  
ცალკე უნდა იცხოვრონ ცოლ — ქმარმა, არამედ, სასურვე-  
ლია — სხვა — და — სხვა ქალაქებშიც იყვნენო“. — იქონიეთ მხე-  
დველობაში ბატონებო, რომ მე ეს აზრი მაშინ გავიღონე,  
როცა ჯერ საფრენი მანქანები არ იყვნენ გამოგონილნი...  
მაგრამ, თუნდაც შევურიგდეთ ამ აზრს და იცხოვრონ ცალ  
— ცალკე როდისლა უნდა იყვნენ მერე ერთად? როგორც  
ვიცით ინტელეგენტის ცხოვრება, ის დილით სამსახურში  
უნდა წავიდეს (მუშა ხომ სულ სამსახურში აღამებს), სადილი  
საღმე — შეექცეს მომე ტებულ შემთხვევაში, მერე დაისვენოს,  
რადგან კლუბში ქალალდის თამაშობაში შეიძლება მეტად  
დიდ — ხანს მოაგვიანდეს. მერე? მერე შეეკითხება თავის — თავს  
— საით წავიდეს, თავის დაჭირავებულ სახლში თუ ცოლთან? თუ  
ცოლთან მაშინ თავის ცალკე სადგომი რაღა საჭიროა და თუ თავის  
სადგომში, მაშინ ცოლი რაღა საჭიროა? აქ თავის — თავად  
ცხადია — რავდენიმე ცოლი უნდა იყოლიოს ერთ და იმავე  
დროს, რომ ერთი თავის სახლში მიიპატიოს დი მეორებთან  
თითონ წავიდეს. ასეთი ცხოვრება კი ჩემის — აზრით, პირუტყ-  
ვობამდის და ველურობამდის ჩამოქვეითებას ნიშნავს და ან  
სადღაა აქ პოეტებისაგან და თვით ამ ინტელიგენტისაგან სა-  
ლმერთებელი სიყვარული?

მიუხედავად იმისა, რომ აღარც ჯიბე და აღარც სხვა  
ქონება აღარ უწყობს ისე ხელს თანამედროვე კაცს, და შე-  
რყეულია დღევანდელი ოჯახი, მაინც მრავალი მიისწრაფის კი-  
დე მისკენ და ვისაც კი მცირეოდენი ძალა შესწევთ, სიმოვ-  
ნებით ჰკისრულობენ ამ მძიმე და საშინელ ტვირთს თანამედ-  
როვე ცხოვრებისა. ძალიან ხშირად, ისეთი დაუდევარნი პირ-  
ნიც კი, რომელნიც საოცარის სისწრაფით გადადიან ერთი  
პირიდან მეორეზედ, ან და ერთ და იმავე დროს რავდენიმე

სხვა — და — სხვა — პირთან აქვთ კავშირი, უცებ შესდგებიან, ხოლმე, და სცდილობენ ესენიც, ოჯახს შეაფარონ თავი. რალა მიზეზი ასეთის ლტოლვილებისა ჯახისკენ? რალად მისწრაფიან მისკენ, როდესაც მომეტებულ შემთხვევაში საპყრობილედ და საწამებლად გადაქცევიათ დღეს ეს ოჯახი?

როგორც უკვე ვსთქვი ზემოლ, დღეს უმრავლესობა სიყვარულში ჰქედავს ანუ ეძებს ბედნიერებას, დიდი თუ პატარა ამას ეტრფის, გალერეაბა შორიდამაც კი, ე, ი. როდესაც ჯერ თვალითაც არ დაუნახავთ სატრფიალო საგანი. უნდათ სიყვარულის კალთას შეაფარონ წამებული სული.

თვით „თამარ ცბიერი“ ჩვენის მცხოვანის პოეტის იკავისა და „მარგარიტა გოტიე“ დიუმაშვილისა, ეს ზე დაცემული ქალებიც კი მიისწრაფიან სიყვარულისკენ: — „იტალიაში წავიდეთ, იქ ჩემი ვინაობა,“ არავის ეცოდინება — ეუბნება მარგარიტა გოტიე თავის საყვარელ არმანს იმ არმანს, რომელიც შეიყვარასრულის სიწრფელით და შესწირა ყველაფერი, მაგრამ ვერც თვით გაბეჭნიერდა და ვერც არმანი გააბეჭნიერა.

აი რას ამბობს „თამარ ცბიერი“ ც: — „მაგრამ მგოსანი, ის უხარისსო, ის უგვარ — ტომო ვიღასაც შეიღი, ვთ უკვდავების წყარო, მიზიდავს. და ვერ მომიკლავს მწყურვალ ს წყურვილი“, — და შემდეგ განაგრძობს: — „მიყვარსა, და მძულს, მძულსა და მიყვარს, მსურს დავემონო, მსურს დავიმონოვული გარდომცეს, გული გარდავცე, რომ შევეწონო და შევიწონო“ — ო.

ვინც კი ცოტად თუ ბევრად იცნობს ქალის ფსიხოლოგიას და ფსიხოლოგიას სყვარულისას სახოგადოდ, ის სრულიად დაეთანხმება პოეტს და სიყალეში არ ჩამოართმევს „თამარ ცბიერს“ ასეთს სიტყვებს. პოეტს ზედ — მიწევნით სცოდნია ქალის და სიყვარულის ფსიხოლოგია, მაგრამ სამწუხაროდ, როდესაც თვითონ იცავდა თავის გმირს გასამართლების დროს, სრულიად ნათლად ვერ დაგვანახვა ეს და ეს იმიტომ მოხდა, რომ ყველა ბრალმდებელ დამკველნი გადასცილდნენ ცოტად.

თუ ბევრად პოემის საზღვარს და გაასამართლეს „თამარ ცბი-  
ერი“, უფრო პიესის გარეშე, ე. ი. სულ სხვა თამარი ჩემის  
შეხედულებით, და აქ რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მე დავა-  
საბუთებდი კიდევ ამას, მაგრამ უნდა დავუბრუნდე ისევ ჩვენს  
საგანს...

რავდენადაც იზრდება და ვითარდება ადამიანის სული და  
გონება, მდენათ მომეტებულის სურვილით მიისწრაფის სიყვა-  
რულისკენ, თვითეული ასეთი ადამიანის სული თხოულობს ჭე-  
შმარიტს სიყვარულს და რაკი სქესებრივი მოთხოვნილება  
უფრო აახლოვებს ერთმანეთთან ქალსა და მამა—კაცს, ამი-  
ტომ ჰეონიათ, რომ აქ შეიძლება იპოვონ ეს ჭეშმარიტი სიყვა-  
რული და ბედნიერება, მაგრამ ცხოვრების ულმობელი პირო-  
ბები სულ სხვას უკარანახებენ მათ:— შესდექით უგუნდრნო-  
თვენ ჯერ კიდევ უსუსურნი და ჩვილნი ხართ ამისთვის, და:  
ქვეყანაზედ ერთი და ორნი არა ხართ გაჩენილნი, რომ მარ-  
ტო შესძლოთ ერთმანეთის გაბედნიერებათ.

ამიტომ არის ხოლმე, რომ რაც უნდა აღფრთვანებით და  
გაგიუებით უყვარდეთ ერთმანეთი პირველად, შემდეგში მალე  
ვხედავთ მათ შორის, განხეთქილებას და უკმაყოფილებას.  
მაშასადამე რაკი წარმავალია, არც არის სრულ ჭეშმარიტი  
ასეთი სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული არის მხოლოდ ერთი  
— უცვლელი მეგობრული სიყვარული, და როდესაც ასეთივე  
მეგობრული სიყვარული მოჰყვება თან სქესებრივ შეერთებას  
აი მაშინ მტკიცდება მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარული ქალსა  
და მამა — კაცს შორის. მაგრამ საჭიროა დავასაბუთოთ უცელა  
ეს მოსაზრებანი უფრო ვრცლად.

ერთნი ამბობენ — „ნუ სტყუვდებით მეგობრებო, სიყვა-  
რული არ არის“ — და მეორენი კი უპასუხებენ: — „ოხ ვინა  
სთქვა სიყვარული არ არის! იგი არის ნეტარება, სანეტარო,  
რამ არის: უიმისოდ თვით სიცოცხლე არ იქნება, არ არის,  
იმაშია თვით სამოთხე და სურათი სამარის; იგი არის ქვეყნის  
ჩარხი, ქვეყნის ჩარხი მბრუნავი, ის ხატია გონებაში მცურავი,

ის ფრთა არის ოცნებისა საფრენი. ყვავილია ედემისა და წალკოტი სალხენი“.— აქედამ ცხადად სჩანს შეურიგებელი წინააღმდეგობა ორ აზრთა შორის, ერთს მთელი თავისი სულის სიღრმით სწამს, რომ არსებობს აღმტაცი სანეტარო სიყვარული, მეორენი კი გულ—ამოსკვნით უარს პყოფენ მის არსებობაზე; უცხოელნი მოაზრენი კიდევ, ამბობენ:— „სიყვარული არის პოეტებისაგან განებივრებული ბავშვიო, და სიყვარულია მოჩვენება,— რომელზედაც ყველა ლაპარაკობს და რომელიც არავის არ უნახებო“. რომელი არიან აქ მართალნი? რად ხდება ასეთი შეუთანხმებლობა და რად გვეჩვენება ხშირად, რომ ერთნიც მართალნი არიან და მეორენიც? ვიდრე მიუგებდეთ ამ საკითხზე, საჭიროდ ვრაცხ გავიხსენოთ, როგორ ესმით კიდევ, სხვა მოაზრეთ ეს საგანი.

მოვიგონოთ ჩვენი უკვდავი პოეტების რუსთაველისა და ბარათა შვილის აზრებიც ამ საკითხზე: — „მიჯნურთა თვალად სიტურფე მართებთ მართვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე—სიუხვე სიყრმე და მოცალეობა; ვისაც ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“—ო, ამბობს რუსთაველი. ე. ი. უნდა ორივე მოტრფიალე მხარე თანასწორი სიმშვენიერის მქონებელი იყოს, რომ სხვა მშვენიერმა არ მოჰიბლოს; უნდა იყოს ბრძენი, რომ თანასწორ ეყურებოდეთ ერთმანეთის სული და გული, ქონებაც, სიმდიდრე ხელს უნდა უწყობდეთ, რომ ისარგებლონ თავთავიანთ, სიყვარულით; უხვის უნდა იყვნენ მიჯნურნი. რადგან სიძუნწე მეტად სძულს ჰეშმარიტ ადამიანის ფსიხოლოგიას, სიყმაწვილეც საჭიროა რასაკვირველია უკვე დაჩაჩანაკებულ კაცს იღარაფრისთვის შესწევს ძალა რაც უნდა გული ერჯოდეს; თავისუფალი და მოცლილი დროც აუცილებლად საჭიროა, რადგან. რაღა ეარ-შიყება და ესიყვარულება ისეთ კაცს, რომელიც დილიდამ საღამომდის თავ—აუღებელ მუშაობაშია შთანთქმული და ისწრაფის დაქანცული სხეული დაასვენს თავისუფალ დროს. ამგვარად. ჩვენ, ვხედავთ, რომ რუსთაველის სიყვარული, მხო-

ლოდ შეძლებულ და შეგნებულ პირთა კუთვინლება ყოფილა, და ოქვენ, საწყალო ხალხო აქაცარა გაქვთ ადგილით. მაგრამ ჩვენ, თვალ — წინ ურიცხვი მაგალითები გვაქვს დღეს, რომ მომეტებული ნაწილი ამ მოსაზრებათაგან, არ ეთანხმება სასესხით დღევანდელ ჩვენის ცხოვრების სინამდვილესა და დრო გადასულია. ჩვენივიცით დავხედავთ, რომ მრავალნი მშიერნი და მოუკლელნი, ხნიერნი და გონჯი კრიუანგნი და უვიცნი სიცოცხლეს, უწირავენ სიყვარულს და სრულიად წრფელადაც.

მაშ რაღა მიზეზი იმ განხეთქილებისა და მტანჯველი იჭვიანობისა, რომელიც მეტად ხშირად მოსდევს დღევანდელ სიყვარულს? რაღად აკლიათ „მიჯნურთა ზნეობა“? აქ მოვიშველიებ მეორე დიდებულ პოეტის ბარათა შვილის აზრს: — „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების, და ვით ყვავილი, თავის დრო-ზე იგიც დასჭინების: აგრეთვე სული, მხოლოდ მისდა შენამს-ჭვალები, ცვალებადია, უმტკიცებ და წარმოვალი; მშვენიერება მხოლოდ ნათელ სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი, ვერ დააბერებს, მხოლოდ კავშირი ეს-რეთ სულთა შობს სიყვარულსა, ზეგარდმომადლით დაუხსნელად შეყვარებულსა; მხოლოდ მათ შთრის არის გრძნობა ეს სანუკველი, რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი“. — აი აქ ეთანხმებიან დიდებულნი პოეტი ერთმანეთს, მხოლოთ მაშინ არის მტკიცებ და დაურღვეველი სიყვარული თქვენის მრით, როდესაც თქვენ ბრძენნი ხართ, როდესაც ნათელია თქვენი სული, ჩვენ კი რას ვხედავთ, დღეს, ჩვენს ცხოვრებაში? ის ბავშვები, რომლებსაც ჯერ დედის რძე არ შეშრობიათ ტუჩებზე, რომლებსაც არამც თუ ცხოვრების და სხვისი ცნობა, არამედ თავიანთ საკუთარი თავის ცნობაც არ აქვთ ოდნავ, ოხრავენ და კვნესიან სიყვარულისთვის. მაგრამ მათდა გასამართლებლად ვიტყვი და დავასაბუთებ, რომ მარტო ისინი არა სცდებიან სიყვარულში და ჩვენ ვიცით ათასი მაგალითები პრაკტიკაში, რომ ისეთი ასაკში მოსულნი პირნიც, როგორც არიან დიდებული ტოლსტოის გმირნი: ანნა კარენინა, ვრონსკი და ლევინი, ისეთისავე სასოწარკვეთი-

ლებით ისპობენ სიცოცხლეს და სულიერს სიმშვიდეს, როგორის გაცაცებით და ძლიერის სიყვარულითაც უერთდებიან ერთმანეთს.

„ანა კარენინა — „, ეს დიდებული ნაწარმოები, დიდებულის მწერლისა, ნამდვილი და უტყუარი სარკეა „ინტელეგენტთა“ სულიერ და ზნეობრივ ცხოვრების მაჩვენებელი, აქ ზედ — მიწევნითარ ის დახატული სამ — გვარი ტიპი „ინტელიგენტთა“ ოჯახისა. სტეფან არკადიევიჩ აბლაზიკიმ, რომელიც „არასოდეს არ ირჩევდა არც მიმართულებას, არც შეხედულებას და ეს მიმართულება და შეხედულება თავის თავად მოდიოდნენ იმასთან, სწორედ ისე, როგორც არ ირჩევდა ის ფორმას შლიაპისას ან სერთუკისას და იღებდა პირდაპირ ისეთებს, როგორებსაც ატარებდენ ყველა“ —, რაღა გასაკვირველია, რომ სასოწარკვეთილებით ამოიგმინოს: — „ მითხარით რა ვქნა! ცოლი დაბერდა და შენ კი სავსე ხარ სიცოცხლით, შენ ვერცემ მოასწარ ახედვა, რომ უკვე გრძნობ აღარ შეგიძლიან გიყვარდეს სიყვარულით ცოლი, რაც უნდა პატივსა სცემდე იმას, აქ უცებ მობრუნდება სხვა სიყვარული და დაიღუპე, დაიღუპე კაცი“ — ღ. ვერ იგრძნეს სრული კრძალვილება და ვერ გაბედნიერდნენ ძლიერის სიყვარულისაგან ვრთნისკი და ანა კარენინა — ც: — როდესაც ანა კარენინა მიღიოდა თავის მეგობარ დოლისთან და გზაში დაინახა ორი მომცინარე ახალ — გაზდა ქალები, მაშინვე დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რად იცინოდნენ ისინი; უთუოდ სიყვარულზეო, იფიქრა მან, — მათ არ იციან, როგორი არა სასიხარულოა ეს, როგორი დამამცირებელიო. თვით ის იშვიათი წუთებიც კი ნაზი გძრნობებისა, რომელებიც იჩენდნენ თავს ვრონსკისა და ანას შორის, ვერ აკმაყოფილებდენ ანას. აი ეგ არის კარგიო, ეუბნება ერთხელ ვორნსკი ანას, როდესაც ეს უკანასკნელი მიგებება მას მხიარულის სულიერის განწყობილებით, მაგრამ ანასთვის ამაშიაც იყო რაღაც შეურაცხმყოფელიო, გადმოგვცემს ტოლსტოი. „აი ეგ არის კარგიო, იფიქრა ანამ, რო-

გორც ეუბნებიან ბავშვს, როდესაც ის ანებებს თავს ჭირვეულობასთ“. იჭვიანობა ანასი აგულტივებდა ვრონსკისაც, თუმცა ის სკლილობდა დაეფარა ეს, აგულტიებდა მაინც, თუმცა ის გრძნობდა, რომ მიზეზი იჭვიაობისა იყო, სიყვარული ანასი მისდამი; ახლა ანა ის აღარ იყო, რაც იყო პირველად. ზნეობრივადაც და ფიზიკურადაც დამტირდა ის ვრონსკის თვალში“. არც ანია არც ვრსნკი არ ამჟღავნებდენ სრულიად მიზეზებს თავიანთ უქმაყოფილებისას, მაგრამ ისინი სთვლილენ ერთმანეთს დამნაშავედ და აუველ შემთხვევაში სკლილობდენ დაემტკიცებინათ ეს ერთმანეთისთვის“.

მიზეზი ასეთის უკმაყოფილების ცხადია აქედამ, არის მა თი უცნობლობა, უცოდინარობა ერთმანეთისა, ისინი რომ უფრო ბრძენი ყოფილიყვნენ, უფრო ნათელი სული ჰქონიდათ, ადვილად გაუგებდენ ერთმანეთს ჭირ—ვარამს და მცირედ მაინც შეიმსუბუქებდენ ისედაც აუტანელს თავიანთ მდგომარეობას და იგრძნობდნენ მცირე ბეღნიერებას მაინც.

ლევინი, ეს კეშმარიტების და ბეღნიერების მაძიებელი, პატიოსანი და მშრომელი კაცი, მოსიყვარულე და ნაზი გრძნობის ადამიანი,—,,რომელსაც არ უნდა, რომ ბავშვსაც კი აწყეინოს, რომელსაც ყველაფერი სხვისთვის უნდა და თათავისთვის არაფერი“—ესეც ვერ გააძენიერა მცირედაც, უმანკო კიტის სიყვარულმა და პირ—იქით, უკმაყოფილოც შეიქმნა ამ სიყვარულით. აქაც მიზეზი ურთი—ერთის შეუგნებლობაში და უცნობლობაში მდგომარეობს რასაკვირველია. ლევინმა ვერ გაიცნო წინ და წინვე კიტი და როდესაც დაუახლოვდა, მაშინ მიხვდა მხოლოდ, რომ არა თუ მახლობელი იყო კიტი მისი, არამედ, ,,მან არ იცოდა ახლა—სად თავდებოდა ის და სად იწყობოდა თითონ“. —,,გარდა ოჯახის ინტერესებისა, გარდა თავისი მორთულობისა, იმას არა აქვს სხვა სერიოზული ინტერესებიო,“—ჰფიქტობდა ლევინი ცოლზე,—,,არც ინტერესები თავის საქმის დიასახლისობს, ის, არც კითხვის არც გლეხების, არც მუსიკის, რომლისთვისაც მას

საკმაო ძალა შესწევს, ის არაფერს არ აკეთებს და სრულებით კმაყოფილია“.—

ახლა გადავალ უცხო მწერლებზე; აი როგორ აღაპარა-  
კებს პოლ—ბურუჟე ერთ თავის რომანის (კოდვა სიყვარულის)  
გმირს არმანს, რომელიც ეუბნება თავის საყვარელ ელენეს:—  
„ვიდრე სრულიად ჩემი არ შეიქმნები მე ეჭვს ვერ განვიშო-  
რებ, იმის ეჭვს კი არა ვითომ შენ გულ—წრფელი არა ხარ ..  
მე მჯერა, რომ შენა გგონია ვითომ გიყვარვარ. არა, ეჭვი  
მექნება, რომ შენი სიყვარული ნამდვილი სიყვარულია; ხში-  
რად გვგონია. რომ ეს და ეს გრძნობა გვაქვს გულშა და  
ნამდვილად კი არ არსებობს ის გრძნობაო. ხნის განმავლო-  
ბაში, არმანი ეკითხება თავის თავს,—მართლა მიყვარს  
ელენეო? და შემდეგ განაკრძობს:— „ჩემდა საუბედუროდ,  
სიყვარულის ნიჭი არა მაქვს და ამიტომ ვიტანჯებიო. შემ-  
დეგ უკვირდება თავის გრძნობებს და ხსნის, რომ ეს მოცლი-  
ლობის და სხვა—და - სხა ვფუჭი მიზეზების ბრალიაო, მაგრამ-  
რატომ ვერ ვანებებ თავს ამ რავდენჯერმე გამეორებულ ის-  
ტორიასო“?

არმანი ჰკითხულობს ერთ ალაგს თავის დღიურიდამ  
და იგივე სევდა გამოურკვევლობისა გამო, იგივე ხელ—  
მოკლეობა სულისა და ჰეშმარიტ გრძნობებისთვის“... აქაც  
მიზეზი ასეთის სულიერის შფოთვისა, აშკარაა, არის უქონ-  
ლობა „სიბრძნისა“, მას არ შესწევს ძალა, გაიცნოს არამც—  
თუ სხვა, არამედ თავიც კი.

ოტელო შექსპირისა, ეს გმირი და პატიოსანი კაცი,  
საზარელის საზჯელით სჯის თავის საყვარელ ცოლს დეზდე-  
მონას, რადგან იგი იმდენად სუსტია შორს—მხედველობაში,  
რომ მცირე ეჭვიც ერევა და მიჰყავს სრულს სასო—წარკვე-  
თილებამდის.

ი როგორ სტანჯავს უსუსურ ბავშვებსაც დღეს სიყვარუ-  
ლი: ნინოჩა ეს ანდრეევის სულ უკანასკნელი ტიპი დღევან-

დელი ცხოვრებისა, ეს ჩვიდმეტი წლის ბავშვი, ეკითხება ადა-  
მის—ემის წლის მოხუცს: —, მითხარი ბებია, რა არის სი-  
ყვარულიო? არ გინდა მიპასუხო? მაშ მე გეტყვი: ეს არის სა-  
შინელი მტანჯველი გრძნობა; როდესაც კაცს უყვარს ის  
უცებ ხდება ისეთივე უზომო ბებერი, როგორიც შენა —,, და  
შემდეგ ამაყად განაგრძობს: — შენა გგონია, რომ მე ჩვიდმე-  
ტი წლისა ვარ? ეს შენა ხარ ჩვიდმეტის წლისა და მე კი ათა-  
სის წლისა: — ა. დიახ, სრულს ჰეშმარიტებას ამბობს ნინო-  
ჩა, ათასმა და ათი — ათასმა წლებმა გამოიმუშავეს და განავი-  
თარეს დღევანდელი სიყვარული და დღევანდელი ახალ — გაზ-  
დობა, ძალიან ბევრ ბავშვთ შეუძლიანა დღეს, ასწავლონ  
ჭკუა თავიანთ ბებიებს და პაპებს, არამც თუ სიყვარულის სა-  
კითხში, არამედ ბევრ სხვა საკითხებშიაც, მაგრამ თუ ჯერ  
კიდევ ვერ მიუგნიათ ჰეშმარიტი სიყვარულისთვის და ჰეშმა-  
რიტ ბედნიერებისთვის, ეს იმის მიზეზით, რომ ჯერ კიდევ ბევ-  
რი აკლიათ როგორც მათ, ისე მათ მშობლებს იმ სიბრძნის  
მიღწევამდე, რომელსაც სთვლის საჭიროდ დიდებული რუს-  
თაველი. აკლია სიბრძნე უმთავრეს გმირსაც ანდრეევის პიესისა  
ჭიოდორ ივანოვიჩის და ამიტომ ეუბნება სასო — წარკვეთი-  
ლებით ანფისას: —,, შენ შეგიძლიახ წარმოიდგინო ეს საშინე-  
ლება?! მე შენ გეხვევი, გკოცნი, გელაპარაკები და კი არ ვი-  
ცი რა ხარ და ვინა ხარ შენა: — ა.

ყველა აქედამ ცხადია ახლა ვგონებ, მიზეზი ორ აზრთა  
წინააღმდეგობის, არსებობს დღეს ჰეშმარიტი აღმტაცი სიყ-  
ვარული დროებითი მხოლოდ, და ამიტომაც სწამო, რომ არის  
იგი, მაგრამ რაკი ეს ხან — გრძლივი არ არის, რაკი მოკლე-  
ხანში მთელ ჯოჯოხეთად ექცევათ ხოლმე და შემდეგ გველივით  
უხამავთ, ამიტომაც ამბობენ არ არსებობს იგიო.

მაშასადამე, მნიშვნელობა ჰეშმარიტის სიყვარულისა,  
მდგომარეობს მასში, რომ იგი ხან — გრძლივი და უცვლელი  
იყოს. ასეთ იდეალურ სიყვარულს უმღერენ პოეტი, ასეთი  
სიყვარულისკენ მიისწრაფის დღეს დიდი და პატარა, ამ სიყვა-

რულს ეძებენ დღვევანდელ ოჯახში და ამავე საფუძველზე უნდა იქმნეს განმტკიცებული მომავალი ოჯახი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოვიპოვებთ იმ მცირეოდენ ბედნიერებას და კმაყოფილებასაც კი რომელსაც აძლევდა ძველი ოჯახი, ძველ ხალხს.

### III

#### თავისუფლება და ბედნიერება.

როდის არის კაცი ბედნიერი და რა პირობებში? ამ საკითხზე უპასუხებენ: როდესაც იგი აძლევს საზრდოს და აკმაყოფილებს ყველა თავის სულიერს და სხეულის მოთხოვნილებს თავისუფლადო, მაგრამ, რას ნიშნავს თვით სიტყვა თავისუფლება თავის მხრით და როგორ უნდა გვეყურებოდეს ეს? ეს სიტყვაც რთულ კითხვად არის გადაჭცეული დღეს და მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა, ძალიან პესიმისტურად, უიმედოდ უყურებენ: როგორ შეიძლება იყოს კაცი თავისუფლი, როდესაც ფრინველი ცისაც კი არ არის თავისუფლი, ამბობენ ესენი. ეს სიტყვაც უკულმა ეყურება უმრავლესობას და ამიტომ ეშინიანთ ამისი და უფრთხიან ამას; მიუცით უგუნურ ბავშვს თავისუფლება და იგი ან წყალში გადავარდება, ან კლდეზე გადაიჩეხებათ, დაუწყეთ მას წინ ნაკვერჩელები და იგივე დაემართება, რაც მოსე წინასწარმეტყველსო.

დიახაც, ასეთი უგუნური და დამოუკიდებელი თავისუფლება შეუძლებელია ვიტყვი მეც, რადგან თვითეული ადამიანი საზოგადოების შვილია და მარტო არ არის ქვეყანაზე გაჩენილი, მხოლოდ ჩვენ გვინდა ისეთი თავისუფლება, რომ თითო —ოროლა პირების და ჯგუფების ხელში არ იყოს ჩავარდნილი თვითეული კერძო პირის ბედ —იღბალი, თვითეულს ასამართლებდეს და სჯიდეს მთელი საზოგადოება ამ კერძო პირებისაგან შემდგარი და არა დაქირავებული მცარცველები.

ექიმ ბენტოვინს აკვირვებს ის გარემოება, რომ უბნის ზედა-  
მხედველებს აქვთ მინდობილი განსჯა დედაკაცების ზნეობაზე  
და ესენივე აგროვებენ და ინახვენ თითონ „პასპორტებს“ სა-  
ეჭვო ქალებისათ; მაგრამ პატივუმულ ექიმს ავიწყდება, რომ  
მარტო პოლიციელები არა სარგებლობენ გარემოებით- რომ  
დღეს ჩვენმა „განათლებულმა“ მამებმა უფრო გადააჭირდეს ამ  
პოლიციელებს და უცხო ქვეყნებში თუ ჩვენში, უურნალ—  
გაზეთობა სავსეა მათის შემაძრწუნებელის მოქმედებით; ექიმ-  
ნი თუ მასწავლებელნი თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს ქალე-  
ბის და უწლოვან ბავშვების გაუპატიურებაში. ასეთი სივერა-  
გის და უუღმართობის ასაცილებლად გვიშველის მხოლოდ,  
განთავისუფლება კერძო დაქირავებულ დამცველებისა და ყა-  
რაულებისაგან, აქ საჭიროა საზოგადოების თვალი, — საერთო  
უსასყიდლო ყურადღება საზოგადოებისაგან თვითეულ კერძო  
პირზე.

ასეთის საზოგადოებრივის თვალის და ყურის მფარველო-  
ბის ქვეშ შეუძლიან ამოისუნთქოს თვითეულმა კერძო პირმა-  
თავისუფლად და ასეთის თავისუფლებისკენ მიისწრაფის დღეს  
კაცობრიობა. ასეთის თავისუფლების შემდეგ იქნება მხოლოდ  
შესაძლებელი სრული ბეღნიერება. რაღაც ასეთის თავისუფ-  
ლების შემდეგ შეეძლება კაცს დაიკმაყოფილოს ყველა თავისი  
კერძო მოთხოვნილება საზოგადოების წინამდლოლობით და  
აღარ ექნება შიში ამა თუ იმ საზოგადოების გაკიცვისა.

ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში, რომ კაცი მაშინ გრძნობს  
უფრო ბეღნიერად და კმაყოფილად თავს, როდესაც ჰედავს-  
საზოგადოების სიყვარულს და თანაგრძნობას, ამ მიზეზით  
ადამიანის ბუნებას აქვს თან დაყოლილი ერთი მეტად სიმპა-  
ტიური სულიერი თვისება: ამავე საზოგადოების სიყვარული  
და თანაგრძნობა თავის მხრითაც:

ამ სულიერ მოთხოვნილებას სწირავენ თავს ყველა საუ-  
კეთესო შვილი ქვეყნისა და ბევრი საუკეთესო გმირი თავის  
კერძო სიყვარულს ანაცვალებს საზოგადოების სიყვარულს. ამ

სულიერ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის გამო ირ-  
ლვევა კიდე კერძო პირთა სიყვარული და ამიტომ, რაც უნ-  
და ძლიერის სიყვარულით უყვარდეთ ერთმანეთი ორ არსე-  
ბას, როდესაც ვერ ხვდებიან თავის გარშემო საზოგადოების  
სიყვარულს და თანაგრძნობას ამათაც სწყინდებათ ერთმანეთი  
და ეძლევიან სრულს სასოწარკვეთილებას ამ აზრის დასაუ-  
თებლად დავუბრუნდები პირველად ისევ ტოლსტოის გმირებს:  
ანა კარენინას და ვრონსკის: მარტო ერთმანეთის შეუგნებ-  
ლობა და უცოდინარობა არ იყო მიზეზი მათის სიყვარულის  
და განწყობილების დამრღვევი, უმთავრესი მიზეზი მდგომარე-  
ობდა მასში, რომ ისინი ველარ შეხვდნენ საზოგადოების იმ  
თანაგრძნობას და პატივის ცემას, რომელსაც უკვე ჩვეულნი  
იყვნენ, მასთან სვინიდისი ქენჯნიდა მათ, რომ ველარ ემსახუ-  
რებოდენ იმ წესებს რასაც უმრავლესობა, თუმცა ჰერძნობდენ,  
რომ მრავალნი იმათზე უკრო უსვინიდისოდ იქცეოდნენ და  
არა ჰქონდათ დანაშაული მათზე უდიდესი. „თითქმის ყოველ  
— დღე პხედავდა ანა სიზმრებს, რომ ორივე იმისი ქმრები ე  
ი. ქმარი და საყვარელი, ერთად იყვნენ და ორივე ერთად  
ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ მას; ეს სიზმრები შხამავდენ  
იმის არსებას და ილვიძებდა ის საშინელის მღელვარებით“.

„კარტასოვისამა სთქვა, რომ სირცხვილია შენ გვერდით  
ჯდომაო, რამდენიც უნდა ვიცოცხლო მე ამას ვერ დავივიწყ.  
ებო“ — ეუბნება ანა კარენინა ვრონსკის სასო — წარკვეთილის-  
ტირილით; მე არას ვამბობ ჩემს ტანჯვებზეო, ამბობს კიდე  
ანა გულ — მოკლული, მაგრამ იფიქრე, ვინ იქნებიან ჩემი  
შეილები, საბრალო ბავშვები, რომლებმაც უნდა ატარონ სხვი-  
სი სახელი; თავიანთ დაბადებიდამ ისინი იძულებულნი იქნე-  
ბიან რცხვენოდეთ მამისა, დედისა, თავიანთ დაბადებისაო.  
რასაკვირველიაო, ჰაფიქრობდა ვორონსკიც მწუხარებით  
ანაზე, როდესაც ისინი დაბრუნდნენ საზღვარ — გა-  
რეთიდამ პეტერბურგში, — ბრწყინვალე სასახლის საზოგადოება  
არ მიიღებს მას მაგრამ მახლობელთ შეუძლიანთ და უნდა შე-

იგნონ ეს როგორც საჭიროა“ . „თუმცა იმას სწამდა სულის სიღრმით, რომ ეს ქვეყანა დახურული იყო მათთვის, მანც სცდილობდა ეგებ შეიცვალოს ეს ქვეყანა და მიგვიღონ ჩვენო, მაგრამ იმან ძალიან ჩქარა შეიტყო, რომ თუმცა მისთვის კერძოდ, ქვეყანა ხსნილი იყო, დახურული იყო ეს ანასთვის, როგორც თაგვი—კატობისა თამა შობაში,—ხელები აწეული იმისთვის, ეშვებოდნენ ძირს ანასთვის“ ...

უკმაყოფილო და უბედური შეიქმნა საზოგადოების და თავის რწმენის ღალატის გამო, ჩვენი ნიჭიერი პოეტის ვაჟა—ფშაველას გმირი მინდიაც (გველის მჭამელიდამე), ის მინდია, რომელსაც—„როგორც თაფლს ისე ეხვევა მცირე და დიდია.“ —რომლის გულშიაც—„ბოროტმა ვერ მოიკიდა ფეხია, თორ-ლემ სხვა დანარჩენი ქაჯური ყველა ისწავლა ხერხია,“ —ყვე-ლა თანაგრძნობით უსმენს; ყველა მას შესჩივის თავის ბედსა და მწერხარებას; ბალახნი, ფრინველნი და ყველა არსნი ესაუ-ბრებიან:—„მინდიას გაუმარჯოსო“—და სხვა. მართალია მი-ნდიას წინადაც აწუხებდა ხეთა ტირილი:—„ნუ მომკლავ ჩე-მო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო“—და ამისაგან მისი ცხოვრება ძალიან დაცარული იყო, მაგრამ მანც გულს არ იტეხდა და რომ ღველფზე ცეცხლი არ გაექრო, ანთებდა თივას ან ჩალას და მანც ლმერთს მადლობდა, კმაყოფილი იყო, და შრომობდა როგორც, გიუი, გადარეული, მხოლოდ ის აწუხებდა, რომ სცდილობდა და ყველას ვერა სწვდებოდა ორი ხელით და თველითა- შემდეგ კი, როდესაც მას შეუყვა- რდება მზია შეირთავს ცოლად და იმის მოთხოვნილებით იძუ- ლებული დაწყებს, მელაობით ქცევას, მას სვინიდისი ქენჯნას დაუწყებს და გამოუთქმელს სასო—წარკვეთილებაში ვარდება, ხან—და—ხან უნდა კიდეც, რომ ამოსწყვიტოს ცოლ— შეი- ლოთ; ის ცოლი რომელიც წინაზე შაქარივით ტკბილი იყო— ახლა მწარე გაუხდა ძალზედა.

ვერ დააკმაყოფილი და ვერ გააბედნიერა კეთილშობილ, გმირი ჯიოვანელის რომანისა „სპარტაკიც,“ შესანიშნავი სიმშვე-

ნიერის პატრონის ტურფა ვალერიას სიყვარულმა, დასტოვა ის  
მარტო და შეუდგა დაჩაგრულ მოძმეთა განთავისუფლებას,  
თუმცა არ უღალატნია ვალერიასოვისაც და ვერ მოჰხიბლა  
ის ცბიერმა ევტიბიდამ.

ყველა აქედამ, ცხად ვყავ ვგონებ, რომ საზოგადოების  
და საზოგადო საქმის სიყვარული ხშირად სძლევს კერძო სი-  
ყვარულს და უძლეურია პირველთან უკანასკნელი, მაგრამ  
ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად ამავე საზოგადო-  
ებისოვის თავ—დადებულნი გმირნი, ვერ კმაყოფილდებიან და  
არ არიან ბედნიერნი ამ სიყვარულითაც; ჩვენ ვიცით ბევრი  
ისტორიული მაგალითები, რომ კერძო სიყვარული სძლევს  
საზოგადოებრივს სიყვარულს. იმ რის კვითხულობთ ამაზე  
ფერდინანდ ლასსალის ავტო—ბიოგრაფიაშიც: — „მე მინდა  
კერძო ბედნიერება, მე კიდევ მყვანან ყველა ჩემი მეგობრები,  
მაგრამ არაფერია, რომ ასებდეს ჩემს გულსა“ — ა.

მეტი მაგალითები აღარ არის ვგონებ საჭირო და ნათე-  
ლითა უკვე, რომ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება  
იყოს კაცი ბედნიერი, როდესაც ისე მოეწყობა, ჩვენი ცხოვრება  
რომ საზოგადო თანაგრძნობით და კეთილ განწყობილებით  
იკმაყოფილებდეს ყველა თავის აღამიანურ მოთხოვნილებებს  
თავისუფლად. როდესაც ჩვენ ბრძენი ვიქნებით, როდესაც  
ჩვენი სული ნათელი იქნება.

#### IV

### შესაძლებელი ცვლილებები ოჯახისა და ქორწი- . ნებისა ბედნიერებამდის.

მაგრამ ვიდრე მივაღწევდეთ ამ ზოგისათვის საზღაპრო  
ბედნიერებას, ვიდრე ეს შორს არის ჯერ კიდე, და ჩვნკი  
დღესვე გვჭირდება გავიუმჯობესოთ მცირედ მაინც ჩვენი  
მდგომარეობა, ოჯახისა და ქორწინების საკითხების გადაჭრით,  
აუცილებლად საჭიროდ ვრაცხ, შემდეგ შესაძლებელ ცვლი-

ლებებს მაინც: — 1) მიეცეთ ქალებს როგორც უკვე ვსთქვი, იგივე ზეობრივი და პოლიტიკური უფლებები, როგორც მამა — კაცებს, 2) განისაზღვროს უექველად ხნოვანობის საზომი ქალ — ვაჟთა შესაკავშირებლად; და 3) მე დაკანონება შერჩევით შეკავშირებისა ე. ი. ვიდრე შეერთდებოდნენ სამუდამო კავშირით ნება პქონდეთ გაეცნონ ერთმანეთს როგორც ხასიათებით და სხვა თვისებებით. აგრეთვე სქესებრივად, რადგან როგორც გვარწმუნებენ სხვა — და — სხვა ექიმნი და მცოდნენი ამ უკანასკნელ მოთხოვნილების მეტ — ნაკლებობაც, ხშირად მიზეზი ხდება განქორწინებისა და ოჯახურ კეთილ — განწყობილების დარღვევისა. მხოლოდ, ვიმეორებ კიდევ, არა შემთხვევაში არა ვსთვლი შესაძლებლად, რომ ერთსა და იმავე დროს რაცდენიმე პირთან პქონდეთ კავშირი; სხვა პირთან მხოლოდ მაშინ უნდა შეეძლოთ კავშირის დაჭერა, როდესაც დარწმუნედებიან — ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს რომელიმე მხრით და უნდა დასტოვონ სამუდამოდ ერთმანეთი ადრე თუ გვიან. აი ასეთი, შერჩევა წარმოშობს ჩემის აზრით მტკიცე სიყვარულს და ჰეშმარიტ ოჯახს.

ასეთ შემთხვევაში კითხვა იბადება რასაკვირველია, ამათი შვილების ბედ — იღბლის გადასაჭრელადაც, მაგრამ ჩემის ზარით ეს ისე გასაჭირი არ უნდა იყოს. შვილებს მიეცემათ ორივე მშობლების სახელ — წოდება და აღზრდაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მშობლები და მთელი საზოგადოება ისე სახელმწიფო. დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ ჩანასახს — როგორ უნდა გაიზარდონ ასეთი ბავშვები: არსებობენ დღეს, „პრიუტები, საბავშვო ბალები სასწავლებლები, და მე ვიცი რავლენიმე ასე აღზრდილი ბავშვები, გაცილებით უკეთესნი არიან ყოველ — მხრივ, ბევრ მშობლებთან ნებივრად აღზრდილ ბავშვებთან შედარებით. გარდა — ამისა, საზოგადოების მონაწილეობის მიღებას საერთო აღზრდაში, იმ სიკეთის მოტანა შეუძლია, რომ ის ფხიზელი დარაჯი იქნება აღვირ ახსნილ ვნებათ ღელვისა.

მშობლებთან აღზრდას დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს შვილების თვისებებზე ამბობენ; მერე დღევანდელი ბავშვები განა იზრდებიან მშობლების ზედ გავლენით: არას ოდეს,

დღევანდელი ოჯახის ბავშვებიც „იზრდებიან“ იმავე პრიუ-  
ტებში“, საბავშვო ბალებში, სასწავლებლებში და სხვა — და — სხვა  
დაქირავებულ მეთვალყურეებსი ზედ გავლენით უმთავრესად,  
რაც მცირე დროს ატარებენ ოჯახში ბავშვები, მაშინაც ვერა  
ხედავენ მშობლებს, რადგან დღევანდელი მშობლები, მომე-  
ტებულ შემთხვევაში, ან საზრდოს მოსაპოებლად არიან გა-  
რედ, ან დროს გასატარებლად, რად ატარებენ დროს მშობლე-  
ბით ამბობენ ამასაც, როდესაც უმთავრესი მათი მოვალეობა  
შვილების აღზრდააო, მაგრამ ეს სრული შეცდომაა; კეშმარიტი  
ადამიანის ბუნება თხოულობს დროს გატარებას, გართობას  
და ამიტომ არც გვაქვს ნება გავკიცხოთ ის მშობლები, რომ-  
ლებიც ანგარიშს უწევენ ამ მოთხოვნილებას, რადგან რაც  
უნდა დიდ — სულოვანი იყოს კაცი, მარტო სხვებისთვის ვერ  
იცხოვრებს; ამასთან, არ შემიძლიან ვუსაყვედურო არც — ერთ  
მშობელ დღეს, რატომ დაანებე თავი შენს შვილებს და მო-  
ხვედი თუნდა ამ ჩემი პატარა ლექციის მოსამენლად მეთქი;  
აგრეთვე ვერ უსაყვედურებთ — რად ესწრებიან ისინი თეატრებს,  
სალიტერატურო საღამოებს თუ დილებს, სალიტერატურო,  
გასამართლებებს და სხვა — და — სხვა, და ყველა ესენი კი არს  
მცირედს დროს ართმევენ თანამედროვე ქალსა და კაცსა  
რომ არ მივაქციოთ ყურადღება ლოტოს და ქაღალდის თამა-  
შობას. თუნდაც დავანებოთ თავი ყველაფერს და ვსთქვათ,  
რომ მშობლებმა აღზარდეს შვილები, მერე განა ყველა მშო-  
ბელს შესწევს ძალა წესიერად აღზარდოს შვილები? აი კიდევ  
რას გვეუბნება დიდებული ტოლსტოი ამაზე: — „დარია ალექ-  
სანდროვნა, რომელიც ზრდიდა თავის შვილებს მეტის მეტი  
ყურადღებით, ერთხელ, როდესაც დაინახა ისინი, რომ საძაგლად  
სწერდენ ერთმანეთს, რაღაც მოსწყდა იმას გულიდამო და შეიგნო,  
რომ ის ბავშვები, რომელებითაც ის ისე ამაყობდა, არამც  
თუ ჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, არამედ ცუდად აღზრდილ-  
ნი და საძაგლებიც.“ მართალია უთქვამთ ძველად: — „როს  
ყრმა ნახო ცუდად ზრდილი, ცემა გმართებს აღმზრდელისაო“,

— მაგრამ ახლა რომ ეთქვათ ეს ჩემთვის, მე ვუპასუხებდი; მაში ბებიაჩემი მონახეთ უწინ, რადგან მე იმსი აღზრდილი ვარ და მეც ისე აღვზარდე ჩემი შვილი თუ მახლობელი, როგორც მე იმან აღმზარდა მეთქი.

დასასრული, მე მინდა ვუპასუხო კიდე, ერთ ჩვენ წინააღმდეგ აზრზე: „რაც უნდა იყოს ქალებს არ შეუძლიანო გაუთანასწორდენ მამა — კაცებს უფლებებში, რადგან ამისთვის მათ არ შესწევთ საქმიო ფიზიკური ძალაო“. რომ ვრცლად ვილაპარაკო ამაზე, ისე შორს წაგვიყვანს, რომ შეიძლება აქ შემოგვალამდეს, ამიტომ ე გაგახსენებთ დედას ცხრა ძმათა ხერხეულიძეების და მოვიყვან ერთ პატარა ისტორიულ გაგალითს უცხოთა ცხოვრებიდამ: —

„ისპანიისა ყმაწვილნი ქალნი ბრძოლის ველისკენ მიისწოდიან, რათეიან,

„მამულის ტრფობით გატაცებულნი, ვაჟ — კაცებთანა ერთად იბრძვიან,

„და რომელნიც უწინ დაჭრილებს იცოდებდნენ და ვერ უყურებდნენ,

„ახლა იგინი მტრის ჯარის შუბებს მამაცურადა გულსა უშვერდნენ.

„და ხალხის ხოცვას იგი ქალები, ისე უცქერდნენ როგორც მარსები“.

ამას მოგვითხრობს ბაირონი, და ვისაც არა სწამთ ქალთა ლირსება და გავლენა ისტორიულ — ხელოვნურ ნაწარმოებთა გარღმოცემით, მათ მე მივუთითებ, საღმრთო ისტორიაზე, სადაც მრავალ ქალთა სახელები ბრწყინავენ წმინდათა შორის მამა — კაცებისა. მოწაფე მამა — კაცები იესოსი გაიქცენო, ამბობს სახელ — განთქმული რენანი, მაგრამ იმისმა ერთგულმა ამხანაგმა ქალებმა, რომლებიც წაჰყვნენ იერუსალიმში და ემსახურებოდნენ მას, არ დასტოვეს ისაო. ამგვარად, ყველაფერი ამტკიცებს, რომ ქალები არ არიან მამა — კაცებზე

სუსტნი არაფრით და არას დროს არა ოჩებიან უკან, მიუხედავად თავიანთი უმნიშვნელო. უფლებებისა.

მეოთხე და მეხუთე საუკუნეებმა წამოაყნენს მთელი წყება ფილოსოფოზ ქალებისათვის, გადმოგვცემს ბეზუსკული. მაგალითად, მეოთხე საუკუნეებში სისოპატარამ განიცადა საშინელი ბუნებრივი ბრძოლა, ერთ თავის მსმენელის ძლიერის სიყვარულის და ფილოსოფიის სიყვარულის გამო, მაგრამ ბოლოს ფილოსოფიის სიყვარულმა სძლია და სისოპატარა, დარჩა ერთგული ამისიო. ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელი მეცნიერების და ფილოსოფიის ცოდნაში იყო იპატიამეოთხე საუკუნის ბოლოში და მეხუთის დასაწყისშიო. იპატია იყო დიდება ალექსანდრიისა და ის იქცევდა ყურადღებას საზოგადოებისა, თავის ცოდნით და მაღალი ზნეობით, ის იყო ქალი — შვილი, ცნობილი მატემატიკოსისა და იმან გადააჭარბა ამ საგანში მამასო, ფილოსოფიაში კი ყველა თავის თანამედროვე და აღრინდელ მამა — კაცებსო. იპატია იყო კერპთ — თაყვანის — მცემელი, ამას ფორმალურად ეჭირა კაფედრა ფილოსოფიისა ალექსანდრიაში და ბოლოს ის შეიქმნა მსხვერპლი ხალხის მღელვარებისა ქრისტიანების და კერპთ — თაყვანის — მცემელების შეტაკების დროს, იმას უცებ დაუცნენ თავს, როცა ის ბრუნდებოდა სახლში, მოიტაცეს, გაატიტვლეს და ნაკუშ — ნაკუშად აქციესო. ჩვენ ვიცით არა მცირე სახელები საბერძნეთის პოეტესებისო, ამბობს კიდევ ბეზუსკული, მათ შორის უპირველესი ალაგი უჭირავს სახელ — განთქმულ საფოს, რომელის სურათებიც იყო დაბეჭდილი ლებოსის მანეთებზე და და იმისი სტატუები იდგნენ ქალაქებშიო.

ამასთანავე უნდა შევნიშნო ესეც, რომ თანდითანობით ფიზიკურ ძალას ეკარგება თავისი პირველ — ყოფილი მნიშვნელობა და იმის ალაგის იჭერს გონებრივი ძალა, რომელმაც უნდა გაათანასწოროს ყველა დიდი და პატარა.

ოჯახის და ბედნიერების ხელის შემშლელად ასახელებენ კიდევ გარყენილებას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება,

როგორც ბუნებრივი მოთხოვნილება — ამის შეცვლა არ შეიძლება. დიახაც, ყოველი გარეუნილება და სიღუხჭირე, ყოველთვის არსებობს, მაგრამ საქმე იმაში ა — რა სახით არსებობს იგი, თუ ის გამონაკლისს შეადგენს როდისმე და იმჯენად საგრძნობელი არ არის საზოგადოებისთვის, უმრავლესობისათვის, შეიძლება კიდე უყურადღებოდ დასტოვოს კაცმა, მაგრამ თუ ის საზოგადო სენად გამხდარა თუ იგი საზარელ გველ — ვეშაპა გადაქცეულა და მთლად შთანთქმას უპირობს საზოგადოებას, მაშინ კი ოღარ შეგვიძლიან ყურის მოყრუება და დაბრმავება, მაშინ ოღარ შეიძლება, ვსოდათ: — „ყოველთვის ასე იყო და იქნებაო“.

აბა გახედეთ ბატონებო დღეს, რუსეთის სატახტო ქალაქის ქუჩებს, კუნკულებს, სახლებს, დარბაზებს, სასწავლებლებს, მონასტრებს და სხვა, იგრეთვე ჩვენში და ყველა სხვა დანარჩენ ქალაქებში და დაბებში; რას ნიშნავს ეს? ნუ — თუ ყველა ესენი როსკიპულ ინსტინქტებით არიან დაბაზებულნი, როგორც გვარშმუნებენ ზოგნი, რო როსკიპი იბადება, როსკიპულ ინსტინქტებითო.

არა, უფალნო ამ „დიდებულ“ ცხოვრებისა, მიზეზები უფრო ღრმანი არიან და საზოგადონი, რომელთაც უნდა დაუყოვნებლივ მიექცეთ ყურადღება და სირცხვილია გავიმეოროთ კიდევ; — „ყოველთვის ასე იყო და იქნებაო.“



წაგითხულაა ქ. თბილისში ზუბალაშვილის სახალხო სახლში  
9 თქოთმბერს 1911 წ.

# მეორე ლექცია

ბარბარე ხერხეულიძისა

ცოცხალი გვამი



წაკითხულია ქ. თბილისში ზუბალაშვილის სახალხო  
სახლში, და ქ. გორში. 1911—1912 წ—ში.



## „ცოცხალი გვამი“

შროგრამა: 1) შესავალი; 2) უმთავრესი მოვალეობა თანამედროვე ქაცისა; 3) თვისება პროტასტონის პიროვნებისა; 4) თვისება 1 ჯული და პირითა; 5) პროტასტი რეგისტრ შეგნებული დამსაშავე; 6) საუკუნის დღებობი მიზეზები თვით—მგვიდებულებისა; 7) ღირებულება 1 იცოცხილისა; 8) უმთავრესი აზრი პირისა; 9) დიზა პრატაგისა, როგორც შესახებ სხვების ინტერესების შედამ; 10) დასკვნა

### I

ბატონებო! ბევრჯელ გამოითქვა აზრი, დიდებულ ტოლ-სტოის, უკანასკნელ ნაწარმოებ „ცოცხალი გვამის“ და ამ პირების უმთვარეს გმირის თევზორე პროტასოვის შესახებ, ამიტომ, ვგონებ—კიდეც მობეზრდა საზოგადოებას ამ საგანზედ ბაასი, მაგრამ ჩვენ, ქალებს არაფერი გვითქვამს ამის შესახებ, და ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოგახსენოთ ჩვენი აზრიც: დედა ომელიც აკლდება ყოველს სიამოვნებას,—ჩემი ყურადღება არ მოაკლდეთ შვილებს და ამ მიზეზით უზნებია რამ არ შეითვისონო; დედა, ომელიც დღე დაღამეს ასწორებს და თვალებს იწყალებს დღიურ საკერავში—შვილი უსწავლელი არ დამირჩესო; დედა ომელიც ებრძვის შეუგნებელს და ძუნწ ქმარს—არ ვარგა დღეს შვილი უსწავლელიო, თქვენთვის მომინდვია ბატონებო, გაითვალისწინოთ, თუ ოთვორს გამოუთქმელს სასო—წარკვეთილებას უნდა მიეცეს, როდესაც დაინახავს, რომ უკვე პატიოსნად და შეგნებულად აღზრდილი მის—მიერ შვილი, დაეცემა და ჩამოქვეითდება

პროტასოვამდის. მართალია ეს უკანასკნელი ნაწარმოები დიდებულის მწერლისა, თავის შინაარსით იმდენად საინტერესო არ არის საზოგადოებისთვის, როგორც სხვა მისი დიდებულნი ნაწარმოებნი, მაგრამ მეტად საინტერესოა ამ პიესის უმთავრესი გმირი, ეს თევდორე პროტასოვი, და ჩემის აზრით, ასეთი არა ჩვეულებრივი ტიპები მრავალჯერ უნდა იქმნენ განსჯილნი და გაცნობილნი. მით უმეტეს ვსოდი საჭიროდ—ერთხელ კიდე გავაცნო საზოგადოებას პიროვნება თევდორე პროტასოვისა, რომ მე მოვისმინე გასამართლება ამ პირისა წარსულ წლის 20—ს ნოემბერს და გარდა უფ. მსაჯულთაგან გამოტანილის მსჯავრისა მეტად გულ ნატკენი დავრჩი იმ გარემოებით, რომ ზოგმა მოზარდმა თაობამაც ტაში დაუკრა უფ—თ. სმოლენსკის და კაზლოვის ცალ—მხრივ აზრებს. დღეს, უმთავრესად ეს ახალ გაზღობა ადევნებს თვალ—ყურს ყველა ახალ აზრებს და ამიტომ უმთავრეს მოვალეობად მიმაჩნია ყველა ლექტორისა და საკუთარ აზრის გამომთქმელ თა, რაც შეიძლება მეტი სიფრთხილით მოქაცენენ ამა თუ იმ პირის ზნეობრივ მხარეების აწონ—დაწონას. ამასვე ამბობს თვით პრინციპი სალიტერატურო გასამართლებისაც.

თუმცა ზოგი ერთნი უარს ჰყოფენ სალიტერატურო გასამართლებას, მაგრამ უნდა მოგახსენოდ მე მეტად სასარგებლოდ ვრაცხვიდრე ცალ—ცალკე ლექციების კითხვას, რადგან აქ არი აზრთა კამათი, აქ არის ზნეობრივი სწავლა, აქ არის გონების ვარჯიშობა და აქ არის კრიტიკა ნაწარმოებისა. ერთი სიტყვით კარგად შემუშავებული სალიტერატურო გასამართლება, საუკეთესო სკოლაა მოზარდი თაობის განსავითარებლად.

მაგარამ უნდა დავუბრუნდე ისევ ჩემს საგანს: მოზარდი, თაობა, რომლებიც ტანჯვა ვაებით მიისწრაფიან სწავლა განვითარებისკენ და ამ იარაღით ჰყიქრობენ ეკლიანი გზა გაუკაფონ თავიანთ თავს, მახლობელთ, საზოგადოებას რაღა ხალისი უნდა აღეძრათ, თუ კი ჩვენ დავარწმუნებთ, რომ რაღაც საზოგადო პირობების უკულმართობის გამო, უთუოდ ამაოდ

ჩაუგლით ყოველი ცდა და ჩამოქვეითდე<sup>2</sup> იან თევდორე პროტა-  
სოვაძეის.

პროტასოვის შესახებ ბატონებო, იმდენად დასაბუთებულ-  
ნი და საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვეს უფ. როზოვმა და  
სპილიოტმა, რომ ბევრის აღარაფრის მიმატება შეიძლება, შეუ-  
ძლებელია აგრეთვე, თუ ყური არ მოიყრუა კაცმა, რამე წი-  
ნაალმდეგი აზრი გამოსთქვის, მაგრამ თუ მაინც საჭიროდ დაი-  
ნახეს მათი დარღვევა უფ — თ. კაზლოვმა და სმოლენსკიმ, ეს  
ვგონებ იმ მიზეზითაც, რომ ნაკლებ ყურადღებას იქცევენ  
დღეს, უმთავრესს მოვალეობას თანამედროვე კაცისა, და აი-  
ამ გარემოებას მინდა მივაჭიო მეტად საზოგადოების ყურა-  
დღება.

დღეს, საზოგადო სენად არის გამხდარი: ვინც რა უნდა  
სისაძაგლე ჩაიღინოს, თუ გაპბედეთ და შენიშნეთ — გახსოვდეს  
მოვალეობა საზოგადოებისადმი, მოვალეობა შენი საკუთარ  
პიროვნებისადმი, ის მაშინვე ამაყად და თავ — მომწონედ შე-  
მოგახებთ თევდორე პროტასოვსავით: — „თქვენ ყველის რა-  
ტომ არ გახსოვთ, თქვენ ყველა უარესები ხართო, ასეთია სა-  
ზოგადო პირობები და ჩვენ გმირები არა ვართ, რომ ვებრძო-  
ლოთო „(ხაზი ჩემია). ამას ამბობს ყველა თევდორესთანა  
გმირი იმ შემთხვევაშიც, როდესაც დარწმუნებულია ბევრია  
იმაზე უკეთესი და რომ აქაც წინდაწინვე თავს უშველოს რი-  
თიმე, წყალ — წაღებულივით ხასს ეჭიდება: — „ცუდს პირო-  
ბებს და გარემოებას ბრძოლა უნდა, მაგრამ მე გმირი არა ვარ  
და ამიტომაც ყველაფერი უნდა მეპატიოს“. ასეთ აზრს შეი-  
ცავდა დაახლოებით უფ. კაზლოვის დამცველი სიტყვა, და  
თვით პროტასოვიც ასეთ აზრს გამოსთქვამს.

ამისთანა თავის გამართლებაზე ქართველებსა გვაქვს ერთი  
მეტად მოსწრებული ანდაზა: „პატარძალმა ძროხა ვერ მოწვე-  
ლა; ბაკი ბრუნდეაო“; შეიძლება ბაკი მართლაც ბრუნდე იყო  
ბატონებო, მაგრამ იქ ვაკე ადგილიც უსათუოდ იქნებოდა, ან

სიზარმაცეს და ან უცოდინარობას, რომ არ შეეშალათ ხელი ჩვენი პატარძლისთვის, და აგრეთვე თევდორე პროტასოვის-თვის; დიახ, ან ზარმაცი და ან ლოთი უნდა ყიფილიყო თევდორე პროტასოვი, თორემ უცოდინარობას და უვიცობას მას ვერდავწამებთ, რადგან ის თავს ყველაზე ჭკვიანად აღიარებს, როდესაც ის თავს იქებს და ეუბნება გამომძიებელს თავის აზრზე: — „ერთხელ მაინც იქნება პროტოკოლში ჭკვიანური ადამიანური სიტყვებით“ თევდორეს არც გამბედაობა აკლია, რადგან ის იმაღლებს ხმის და მოსამართლებს ამხელს, რომ ისინი ცხოვრობენ იმიტომ, რომ ყოველ ოცში ოროლი გროში მიიღონ და ეს კი არ კადრულობს, დიახ, მე მოგახსენებთ, რომ არა კადრულობს, არ კადრულობს იმიტომ, რომ ეს ოროლი გროში არ ეყოფათ პროტასოვისთანა თევდორეებს, ამათთანა ვაჟ — ბატონებს ხან სულ მძიმე უნდა ჰქონდეთ ჯიბე და ხან სულ ცარიელი. მაგრამ კმარა ამაზე ჯერ — ჯერობით.

მე მოგახსენეთ უმთავრესს მოვალეობაზე თანა მედროვე კაცისა და საჭიროა განვმარტოთ, — რას ავალებს დღეს ცხოვრება თვითეულს კერძო პირს უმთავრესად? ვინც ინგბოს წარსულ ცხოვრების ისტორიას ის დამეთანხმება, რომ ვიდრე კულტურულად განუვითარებელი იყო ხალხი, უმთავრესი მათი მოვალეობა იყო ფიზიკური ბრძოლა და ამ ფიზიკურ ძალის შესაფერი იარაღით მოქმედება თავ — თავის ალაგის; დღეს კი ამ ფიზიკურ ძალის ადგილი დაიჭირა გონებრივმა ძალამ და ვისაც უნდა, რომ მეტად ისარგებლოს ამ ფიზიკურ ძალით, რაიმე სასარგებლო გააკეთოს, იბრძოლოს რის წინააღმდეგაც სსურს, უსათუოდ უნდა მოიშველიოს უმთავრესად, გონებრივი ძალა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თვითეული პირი წარმოუდგენელია უნაკლულო ამ მხრივაც და მაშასადამე, თვითეული უპირველესად მოვალეა, — ეცადოს შეგვსოს თავისი კერძო ნაკლულოვანება, მიისწრაფოდეს მეტი ცოდნისკენ, მეტი განვითარებისაკენ, რადგან უამისოდ შეუძლებელია

უბრძოლოს იმ პირობებს, რომელებიც აბრკოლებენ მას და რომლებსაც ვერ ეთვისება მისი სული და გული. ის კი, ვინც სხვებზე ჭკვიანად სთვლის თავს, როგორც თევდორე პროტა-სოვი, მოვალეა — პირ — და — პირი ბრძოლა გამოუკხადოს ყველას და ყველაფერს, მაგრამ როგორც ვიცით, თევდორე პროტასოვს არც ერთისტვის უზრუნია და არც მეორესტვის და თივს მარტო იმითი იმართლებს, რომ გმირი არა ვარო.

კარგი დავუჯეროთ პროტასოვს, რომ გმირი არ არის, მაშ რა არის? რას წარმოადგენს დღეს ჩვენ თვალ — წინ პრო-ტასოვი როგორც პიროვნება? თითონ ამბობს და მეც ვეთან-ხმები ამაში, რომ ის არის ერთი დაცემული ცოცხალ — მკვდა-რი კაცი, მაგრამ უფ. კაზლოვი არ დაეთანხმა პროტასოვს და სთქვა, რომ ის არის საშუალო კაცი. ძალიან კარგი კიდევ, აბა გადავლეთ თვალი ბატონებო, ოდნავ მაინც ჩვენს ცხოვ-რებას, მართლა ჰგვანან საშუალო პირები თევდორე პროტა-სოვს?

უსათუოდ დაინახავთ, რომ სრულებითაც არა; საშუალო პირები სიამოვნებით ღებულობენ თევდორესაგან დაწუნებულ აკის ჯამაგირებს და თუ ცოლი თვალით დასანახავად ეჯავ-რებათ, სამაგიეროდ შვილებს სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს; მეორეებს, თუმცა არც ცოლი აკმაყოფილებთ და არც შვი-ლები, მაგრამ მზრუნველობას მაინც უწევენ და ამის მოვალედ ხდიან თავს; მესამენი კიდევ, სრულებით სტოვებენ ცოლსაც, შვილებსაც, მაგრამ თითონ მაინც საზოგადოებას არა სწყდე-ბიან სრულებით და რაიმე სასარგებლო წვლილი შეაქვთ ცხოვრებაში. რასაკვირველია ამით მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ რომელიმე ამათგანის ცხოვრება სანატრელი იყოს მაგ-რამ თევდორე პროტასოვამდის ჩამოქვეითებას, მაინც უნდა სჯობდეს თვითეული ჭკვათა მყოფელი კაცისტვის და-საშუალო პირები სულაც არ არიან დაცემულნი პროტა-სოვამდის.

ამგვარად, ბატონებით, პროტასოვი არ გახლავთ გმირი, არც არის საშუალო კაცი და როგორც მოგახსენეთ უკვე: ის, არის ერთი დაცემული ცოცხალ — მევდარი კაცი და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ის ამ დაცემამდის მივიდა სრულის შეგნებით. მე ასეთს ჩამოქვეითებას ვაპატიგბ შეუგნებელს, ცხოვრებისაგან თაობითვე დააჩარულ — დაბეჭავებულ პირვენებას, რომლისთვისაც უცხო ხილი არ არის, არც ჭუჭყიანი დუქანი, არც დაგლეჯილ დაფლეთილი ტანისამოსი და არც ქუჩა — ქუჩა გალეჭილი ბარბაცი, მაგრამ პროტასოვისთანა ინტელიგენტ და შეგნებულ ადამიანს კი არასოდეს. ის კარგად ჰქედავდა ავსა და კარგს ცხოვრებაში, ფხიზელი გონება ჰქონდა და და ამიტომ ის უნდა ცდილოყო ებრძოლა იმის წინაღრ დეგ, რაც არ მოსწომდა, მოეკიდა, ხელი ისეთი საჭიროვის რაც მას იზიდავდა, ვინც მცირედ მაინც იცნობთ ადამიანთ ფსიხოლოგიას, არ შეიძლება არ დამეთანხმოთ. რომ შეგნებულ და გულ — კეთილ ადამიანს, ერთი რამ საპატიო საგანი უნდა იზიდავდეს ცხოვრებაში, და როდესაც დარწმუნდებოდ პროტასოვი რომ ვერც ერთი შესძლო და ვერც მეორე, მაში სრული უფლება ექნებოდა ეთქვა — გმირი არა ვარო, უფლებ ექნებოდა მოშორებოდა საზოგადოებას, მაგრამ როგორც მოგახსენეთ ზემოდაც თევდორე პროტასოვს არც ერთისთვის აუზრუნია. ის ივიწყებს მოვალეობას თავის საკუთარ პირვენებისადმი, როგორც მოგახსენეთ მე; ივიწყებს მოვალეობა საზოგადოებისადმი, როგორც განმარტა ეს უფ. სპილიოტმ ივიწყებს შვილს, ოჯახს, სცრულბს ყოველ ნაბიჯზე, სცრელ რობს უშრომლად და მაშასადამე სხვების ხარჯზე, როგორ დაასაბუთა ყველა ეს უფ, როზოვძა. ჰერძნობს, რომ „არის მდგომარეობა უარესი იმისი ყოფნის“ და მაინც განგრძობს ასეთ საძაგელ ცხოვრებას ათ — წელიწადს.

საშინელება უნდა ყოფილიყო შეგნებულ კაცითვეს ათი წელიწადი, ათი დღეც საუკუნოდ უნდა სჩვენებოდა მას აი რას ამბობს ასეთ თავის არარაობაზე ჩვენი დიდებული პ

ეტი ი. ჭ—ძე: — ყველას ავიტანო, მაგრამ ჩემთავის არაფრობისა, არ ძალ — მის ძმაო, ვერ რით გაძლებაო ვინც. იცნობს ოდნავ მაინც შეგნებულ და თავ — მოყვარე ადამიანის ფსიხოლოგიას, ის უსათუოდ დაეთანხმება პოეტს ამ თავ მოყვარეობის დამცველ გრძნობაში.

ზოგნი ამტკიცებენ, რომ ეს ბრძოლაა თვისებური, როდესაც კაცი ვერ ურიგდება თავის მდგომარეობას და იქცევა საზოგადო შეხედულობის და კანონის წინააღმდეგ, რაც უნდა დაცემამდის მივიღესო, რადგან აქ იხატება პროტესტი უკულმართობის წინააღმდეგ და უფრო თვალთ — საჩინო ხდება დრო — გადასული. წესების და კანონის უვარვისობამ. თუმცა ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ აქაც იგივე შეგნება ამტკიცებს თვედორე პროტესოვს, რომელზედაც ვილაპარაკე ზემოდ. ასეთ შემთხვევაშიც გამართლება შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ შეუგნებელ, ინსტინქტიურად მომქმედი პირისა და ჩვენ კი ვიცით, რომ პროტესოვს სულ — სხვანაირად გვაცნობს ავტორი.

და ასე ბატონებო, კვლავ გაითვალისწინეთ სახე, დაგლუჯილ — დაფლეთილ პროტესოვისა, მყრალ და ჭუჭყიან დუქანში, ციგანკა მაშოს რჩევით სიცრუე თავის სიკვდილის შესახებ (შეიძლება კაცი გიყვარდეს. მაგრამ ყველა იმის სისულელეს კი არ აჰყვე), შაფანსკების მირთმევა სხვების ხარჯით და თუ ეპატიება ყველა ეს ჩამოქვეითება, სხვა — და — სხვა დანაშაულთა გარდა, ინტელიგენტ პიროვნებას, გაამართლეთ იგი, და თუ არ არის ეს შესაწყნარებელი, მაშინ უნდა განიდევნოს ყველა პროტესოვისთანა გმირი თავის საზოგადოებიდამ ზიზღით, არამც თუ ტაში დაუკრან მას.

სრულებით უადგილოდ მიმაჩნია დაყენებული საკითხები: არის თუ არა პროტესოვი მოქალაქე მომვალის, საზოგადოებისთვის სასარგებლო პირს წარმოადგენს თუ არ და სხვა ამისთანა უმნიშვნელოები. ასეთი მუხლები მე წყლის ნაყვად მიმაჩნია და უბრალო ჩხირკედელაობად; ეს ღა გვაკლია, რომ

პროტასოვები მომავლის მოქალაქედაც ვაღიაროთ და უკამა თოდაც უველასთვის ცხადი არ იყოს, რომ საზოგადოების თვის სასარგებლო პირს ვერ წარმოადგენენ პროტასოვისთან თევდორეები.

აუხვია რა მხარი უფ. კაზლოვმა უველა დანაშაული თევდორე პროტასოვისა, არ უპასუხა არც—ერთ ბრალ—მდებელს საფუძვლიანად, სოჭვა კიდევ, რომ პროტასოვი არის უმაღლეს მწვერვალამდის პატიოსანი კაციო, თუმცა არაფერში არ გამოუჩენია პროტასოვს ეს პატიოსნება, მაგრამ დავანებოდ თავი უფ. კაზლოვს,—დავუჯეროთ დიდებულს ავტორს და ვსთქვათ, რომ ოდესლაც პატიოსანი იყო პროტასოვი, მერა რა სარგებლობა მოიტანა ამ თავის პატიოსნებით? ამაზე მაკიდევ ამას მოგახსენებთ, რომ ამისთვის უფრო ვსთვლი დამნაშავედ პროტასოვს, რომ მან ვერ გამოიყენა სასარგებლოდ ვერც თავის პატიოსნება, ვერც შეგნება, ვერც გამბედაობდა სრულიად ხელ—გაუნძრევლად ჩამოქვეითდა პირუტყვობამდის ე. ი. მარტო სმა—ჭამამდის. მასში აღარაფერი დარჩა აღაშიანური, აღარც მოვალეობა, აღარც თავ—მოყვარეობა, არც გმირობა, არც მისწრაფება; ერთი სიტყვით პროტასოვი აღარც ადამიანია და აღარც პირუტყვი, და ასეთს პირს სვინიდისი ნებას აძლევს კიდევ, ხმა აიმაღლოს და სხვებს ამხილოს უსვინიდისობა.

## II

რომ ცალ—მხრივი არ გამოვიდეს ჩემი მსჯელობა, ახლა მე შევეხები საგანს მეორე მხრით, და თუ პირველ შემთხვევაში ბრალ—მდებლის როლი ვიკისრე, მეორედ, დამცველობა საც გაუწევ თევდორე პროტასოვს, რავდენადაც ეს შესაძლებელია რასაკვირველია.

თუ შეიძლება გამართლება პროტასოვისა, ეს ერთ შემთხვევაში, მხოლოდ, რომ თავის დროზე შედრ, და

შესძლოთ თავი მოეკლა, რადგან მეტად სუსტი ხასიათისა იყო  
და სუსტი ადამიანის ბუნება კი, ყოველთვის უფრთხის თვით  
მკვლელობას.

თუმცა პატივცემულმა ლეკტორმა, უფ. პეტროვმა  
განარტა, რომ თავს მხოლოდ სუსტი თვისებების აღამიანები  
იკვლენო, მაგრამ ეს სრული შეცდომაა და თევდორ პრო-  
ტასოვის მოქმედებაც სრულიად ამტკიცებს, რომ თავს მხო-  
ლოდ მტკიცე, ანუ მაგარის ხასიათის აღამიანები იკვლენ,  
თორემ განა მოითმენდა თევდორე პროტასოვი წინააღმდეგ  
შემთხვევაში, ისეთ გათახსირებას სადამდისაც იგი მივიდა? განა  
დაუჯერებდა ციგანკა მაშოს და იმისი რჩევით ხელს აიღებ-  
და განზრახულ თვით—მკვლელობაზე? თვით დიდებული  
ტოლსტიო, რომელიც თოკს მალავდა შიშით—თავი არ მო-  
ვიკლიო, როგორც გადმოვგცა ეს თვით უფ. პეტროვმაც,  
ძიელ მტკიცე და მაგარის ხასიათისა იყო, მაგრამ თუ თოკს  
მალავდა, ეს იმიტომ, რომ მისი ცხოვრების პირობები უწყო-  
ბდა მას ხელს; მართალია ის სულიერს რყევაში იყო და  
იტანჯებოდა, მაგრამ მატერიალურად იმდენად უზრუნველ—  
ყოფილი იყო რომ ამ საშუალებით კიდევ შეეძლო ებრძოლა  
თავისუფლად იმის წინააღმდეგ რაც არ მოსწონდა,—მაშასა-  
დამე თოკიც უნდა დაემალა, რადგან თავს მხოლოდ იმ შემ-  
თხვევაში იკლავს კაცი, როდესაც გასავალი .გზა ოღარსაითა  
აქვს და დარწმუნებულია სიკვდილის მეტი ვეღარა იხსნის  
რა მას სატანჯველისაგან; ეს სულერთია რა მიზეზით არის გა-  
მოწვეული ეს სატანჯველი. გარდა ამისა, მართალია იტანჯებო-  
და ტოლსტიო, მაგრამ, სრულს და გაუვალს სატანჯველს  
კი ვერ განიცდიდა, რადგან როგორც ვიცით, მუდამ რყევაში  
იყო ის, და გადაჭრილს პესიმიზმამდის არას—ოდეს არ  
მისულა, მაშასადამე, აქაც იმედი ხსნისა და შემცირება სატან-  
ჯვლისა.

უფალი პეტროვი მე იმ სამოთხიდამ გადმოფრენილი მე-  
ონა, სადაც ოღონდ კი ხელი გაანძრიე, იმეცადინე და თვით

მზესაც კი მისწვდები, არამც თუ თავს მოიკლავ, მაგრამ რო-  
დესაც მოგვითხრო ავადმყობ დედის ამბავი, როგორ გაგზავ-  
ნი თავისი ნორჩი ქალიშვილითავი გაეყიდნა, მაშინ კი ვიჟიქ-  
რე: არა, ჩვენებური ქვეყნიდამ არის, მხოლოდ თითონ  
მშვენივრად უცხოვრია მუდამ, რომ იმ საცოდავი ქალი — შვილის სულიერი ტანჯვა სიზრადაც ვერ ეჩვენებოდა მეთქი;  
თორემ უსათუოდ იჭყოდა რასმე იმსაბრალოს სულიერ მდგო-  
ვარეობაზეც, როცა ის ვერ შეურიგდებოდა საზიზღარ სხეულით  
ვაჭრობას, ავადმყოფ დედასაც დაივიწყებდა, საზოგადო მოვა-  
ლეობასაც და უფრო მხიარულად გაემაგზავრებოდა თავის მიერ  
გაკეთებულ სალრჩობელისკენ. არც იმს მიაქცევდა ყურადღებას  
თუ იმის სიკვდილის შემდეგ, რომელიმე იუმორის ტულ შურნალში  
დაბეჭდავდნენ: „ჩვენ ვიცით ქალები, რომლებიც გააუპატიურეს  
მაგრამ თავი კი არ მოუკლავთო.“

დიახ ბატონებო, ამგვარი საბრალო ყმაწვილი ქალის  
სულიერი მდგომარეობა, რომ გაეთვალისწინებინა, პატივცე-  
მულ ლექტორს, რაც დაფარული აღარავისათვის უნდა იყოს  
დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში, მაშინ, არა მგონია, კიდევ  
ისეთი ირონიით დახტა ჩვენთვის, დღევანდელი გავრცელე  
ბული თვით — მკვლელობა და ეპიდემიად; ელიარებინა; რომ  
გაეხსენებინა საშინელი სვინიდისის ქენჯნა იმ იუდებისა, რომ  
ლებიც ვერცხლის გულისთვის ჰყიდიან ქრისტესებურ წმინდა  
ნებს, მაშინ, ვგონებ იმდენს ყურადღებას აღარ მიაქცევდა-  
სიყვარულის გამო და „დვოიკის“ მიღების გამო გამოწვეულს  
თვით — მკვლელობას, თუმცა არც ეს უკანასკნელი მიზეზეი  
არიან აბუჩად ასაგდებნი, და გასაკიცხნი, და უფრო სიფრთ-

მხილით და საფუძვლიანად უნდა შეჰებოდა ლექტორი ამ იზეზებსაც. უნდა გაეცნო ჩვენთვის ფსიხოლოგია ადამიანის ბუნებისა საზოგადოდ და განემარტა — უმრავლესობა უფრთხის თვით — მკვლელობას და ეშინიან ამისი თუ არა; თუ უმრავლესობა უფრთხის ამას, მაშასადამე თვით — მკვლელობამდის მიღიან ისეთი მტკიცე და მაგარის ხასიათის მქონენი, რომ-ლებიც უკვე იქანცებიან ბრძოლით და გასავალი გზა აღარ — საით აქვთ.

გარდა პროტასოვის მაგალითისა, რავდენადაც მე ვიცნობ ფსიხოლოგიას ადამიანის ბუნებისა საზოგადოდ, — იმდენად სუსტია და ეშინიან სიკვდილისა, რომ რაც უნდა გაუჭირდეს თვით — მკვლელობას არ ჩაიდენს და იმ მხრით ეკუთვნის მხოლოდ უმრავლესობის რიცხვს ოვედორე პროტასოვი და ეს გარემოება ამართლებს მას ცოტად. თუ ბევრად. მართალია, ბოლოს მაინც იყლავს თავს პროტასოვი, მაგრამ ეს უკვე ნაძალადევია, და თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას: როგორ აქეზებდა წინად თვით — მკვლელობაზე მას, მისი ამხანაგი ივანე ალექსანდროვი, მაშინ აღვილად დავრწმუნდებით, რომ აქაც მან იქონია გავლენა. და იძულა ეს მოეხდინა პროტასოვს, რისთვისაც ხელში მისუა რევოლვერი, წინააღმდეგ შემთხვევაში არც მიუტანდა რევოლვერს.

საჭიროდ ვრაცხ — მოგახსენოთ ჩემი აზრი მასზედაც, თუ რისგან წარმოსდგება სასოწარკვეთილება და ძლიერი სულიერი რყევა მრავალი ჩვენი ახალ — გაზღობისა; მე ვგონებ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ამისი, არის, არა სრული შეგნება ცხოვრებისა, ესენი უყურებენ ცხოვრებას ზედაპირულად, ცალ-მხრივად, ესე იგი ესენი ჰედავენ თვის გარშემო და ყოველგან სიცრუეს; ღალატს ძალ — მომრეობას, აუტანელ სილატაკეს, სიცივეს, სიმშილს და სხვა და სხვა მაგრამ ამათ არ შესწევთ ძალა გაიგონ — სად მივყევარო ყველა ამას, უარესობისაკენ თუ უკეთესობისაკენ და ამიტომ მივიღნენ სრულს სასო — წარკვეთილებამდის, სრულს უ იმედობამდის-

როგორც მრავალნი ძველი მწერლები და მათი ახალ—  
თაობა, ისე თანამედროვე მწერლები და ახალ—თაობა,  
გულ—გატეხილები არიან აღამიანებზე საზოგადოდ და თით-  
ქმის აღარ სწამთ კეშმარიტ აღამიანთა შეხვედრა, მაგალითის-  
თვის მოვიყვან ისევ თვით დიდებულ ტოლსტოის ძველებიდამ,  
და ახლებს ხომ ყველა იუნიბო ბატონებო. ის ტოლსტოი,  
რომელიც ყოველთვის სცდილობს—კარგის მხრით შეჰვედოს  
ყველას, აი რა აზრისა მაინც კიდევ ხალხზე:—„სულ სახლე-  
ბი სახლები! და შიგ ხალხი, ჩავდენი არიან ისინი თვლა არ  
არის, და ყველა მათ კი ჭირივით სძულთ ერთმანეთი.

თუმცა სრულს კეშმარიტებას ამბობს დიდებული წე-  
რალი, და უმრავლესობას მართლაც სძულთ ერთმანეთი, მაგ-  
რამ მე მაინც მრწამს, რომ კიდევ არიან ქვეყნად, თუნდა  
თვით ტოლსტოისებური კეშმარიტი აღამიანები, და თუმცა  
პატარაა მათ რიცხვი და ამიტომ ძნელი შესახვედრნი, მაგრამ  
მაინც უნდა ვეცადოთ მათ შეხვედრას, რომ მხარი გაგვიმა-  
გრონ.

ტყუილია ის აზრიც, რომ დღევანდელი მოზარდი თა-  
ობა არა სცდილობდეს განვითარება შეიძინოს და მარტო პა-  
პირობისთვის შოულობდეს ფულებს; პრაქტიკული ცხოვრება  
გვიჩვენებს, რომ მრავალი ახალ-გაზდა ქალი და კაცი სიამოვ-  
ნებით თმენულობდნ კუჭის ნახევრად შემშილს, რომ მცირედი  
საზრდო მაინც მიაწოდოს გონებას ჩუმად თუ ცადლივ, მე  
მეტსაც ვიტყვა: გონებრივი საზრდოს მოთხოვნილება იჭარ-  
ბებს კიდეც დღეს კუჭის მოთხოვნილებას, და ამ გონებრივ  
მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის მიზეზითაც არის გავ-  
რცელებული დღევანდელი თვით-მკვლელობა. .

ამ უკანასკნელ ჩემს აზრს ამტკიცებენ და უკველს ჰყო  
ფენ დღევანდელი ნახევრად მშიერი სტუდენტობა და მათში  
გავრცელებული თვით-მკვლელობა უფალმა პეტროვმა კი  
ილაპარაკა ამ შემთხვევაში გამონაკლზე, რასაც არ უნდა ჰქონ-

დეს ადგილი საზოგადოდ მსჯელობაში.\* ) ამისათვის, საჭიროა კიდევ, — ცოტა რამ მოგახსენოთ ბავშვების ფსიხოლოგიზეც: ავილოთ მაგალითისთვის ოუნდა ის ყმაწვილები, რომლებიც თავს იკლავენ დვოიკისა და სიყვარულის გულისთვის, რომლებიც მწარედ გაჰქიცხა უფ. პეროვა.

ნუ თუ ყმარწვილისთვის მართლა იმდენი მნიშვნელობა აქვს დვოიკას, რომ თვითმკვლელობა ჩაიდინოს? არა, მას ერთის მხრით თავ-მოყვარეობა სტანჯავს და მეორეს მხრით ის გარემოება, რომ ამ მიზეზით სიცოცხლეს გაუმწარებენ მშობლები საყვედურებით და გასავალი გზა კი არსათ აქვს, რომ მოშორდეს ამ სატანჯველს. მეორე შემთხვევაში, როდესაც სიყვარულისთვის იკლავს თავს ყმარწვილი, მას მარტო საყვარლის დაკარგვა კი არა სტანჯავს, არამედ შელახული თავ-მოყვარეობაც. რავდენათაც ვიცნობ ყმარწვილის ფსიხოლოგიას. მას მეტი აქვს ყოველთვის თავ-მოყვარეობა, ვიდრე დამზნილ კაცს, და თუ ყმარწვილს ვერ შეუგნია ეს მისი გაზვიდებული თავ-მოყვარეობა და თავს იკლავს, ირონით და აგდებით კი არ უნდა ვამცნოთ მის ამხანაგო ეს შეცდომები, არმმედ, საფუძვლიანის საბუთებით. რა საბუთია მაგალითად, უფ. პეტროვის ანალოგი: თუ კი პაპიროზს შოულობთ, რატომ აკრძალულ წიგნებს კი ვერ შოულობთო, პაპიროზიც ხომ აკრძალული გაქვთო? შედარებაც ამასა ჰქვია! აკრძალული წიგნი და აკრძალული პაპიროზი! ? სხვა რომ არა იყოს რა, ნეტა რავდენი მასწავლებელი ირიდებს თვალს აკრძალულ პაპიროზს მოწაფის ხელში და რავდენი გაფაციცებით ადევნებს თვალს აკრძალულ წიგნს ამავე მოწაფის ხელში? რავდენი მშობელი თითონ აძლევს პაპიროზისთვის საჭირო ფულს და რავდენი

\* ) რადგან ხშირად ვეხები უფ. პეტროვს, არ გეგონოთ, რომ მე პოლემიკას ვეწეოდე მასთან; მე ის მომყავს როგორც ავტორიტეტი, რადგან დიდი ყურადღება დაიმსახურა ერთი ნაწილისაგან საზოგადოებისა და მე კი არ ვეთანხმები მათ აზრებს სავსებით.

ცეცხლში ჩაუხრაკავს აკრძალულ წიგნს თუ კი თვალი მოასწრო—  
აზრის დასამთავრებლად, მოკლედ მოგახსენებთ ჩემს  
აზრს, სიცოცხლის ღირებულებაზედაც: რა არის სიცოცხლის  
ღირებულება, რატომ უნდა იცოცხლოს ადამიანმა?

სამწევაროდ, ვრცლად ვერ ვილაბარაკებ ამაზედაც, რა-  
დგან ეს არ არის საგანი ჩემის ლექციისა და რომელ კითხვებ-  
საც კი შევეხე დღეს აქ, იმდენად რავღენადაც საჭირო იყო  
ეს, დღევანდელ ჩემის ტემისთვის, ამიტომ გაკვრით გამოვსთქვამ  
ჩემს აზრს ამ საგანზეც: მართალია, მეცნიერებამ არ იცის ჯერ,  
რა არის ღირებულება სიცოცხლისა, გადაჭრით ვერავინ გამო-  
სთქვა ამაზე თავის აზრი, მაგრამ ეს კი ეჭვს გარეშეა რომ  
მრავალნი ძალიან პესიმისტურად უყურებენ სიცოცხლის ღი-  
რებულებას და ამბობენ, რომ ტანჯვის მეტი არაფერია სი-  
ცოცხლეო. აი როგორ უყურებს კიდევ, სიცოცხლის ღირებულე-  
ბას, ცნობილი მინისტრის სტოლიპინის მკვლელი ბაგროვიც:  
— „რა არის სიცოცხლე? ათასჯერ მეტად შეჭმული კა-  
ტლეთი“.

მაშასადამე, რაკი ტანჯვის მეტი არაფერი ყოფილი სი-  
ცოცხლის ღირებულება და სმა ჭამის მეტი ფასი არა აქვს — რა  
ზოგის შეხედულობით, ორში ერთი: ან უნდა თავი მოიკლას  
კაცმა, როგორც სჩადიან ამას მრავალი პესიმისტები, და ან  
ჩამოქვეითდეს მარტო სმა — ჭამამდის, როგორც ჩვენი გმირი,  
— თევდორე პროტასოვი და ცნობილი აბლომოვი.

ეს ბატონები რომ ცოტად გარჯილიყვნენ კი, და მცი-  
რედ მაინც ეფიქრათ — თვით — განვითარებაზე, უფრო ღრმად-  
ჩაჰეკირებოდნენ ცხოვრებას, აღვილად შეიძლებოდა დაცემის მა-  
გირ, იმ დასკვნას დასდგომოდენ რომ ცხოვრების ღირებულება  
არას სიყვარული და ეპოვათ ეს ბედნიერება...

„სიცოცხლე არის სიყვარული, სიყვარული არის სიცოც-  
ხლე“ — ა, ამბობს ერთი. მწერალი და მე სრულიად ვეთანხმები,  
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის განსაკუთრებულ, ერთ — გვარ  
სიყვარულში: ეძებს ამ ძალას და მე კი საერთოდ, ყოველნაირ

სიყვარულში: შეეხება ეს საზოგადოების სიყვარულს, ბრძოლის, მეგობრის, ხელოვნების თუ სხვა. ერთი სიტყვით, უნდა გულ — წრფელად გიყვარდეს რამე, რომ ღირებულება დასდო სიცოცხლეს. მხოლოდ, აქედამ ის დასკვნა არ გამოდის რა-საკვირველია, რომ რაკი რამედ გიღირს სიცოცხლე, აღარც მოგაკვლევინებენ თავს.

ამგვარად ბატონებო, ყველა ჩემი ნათქვამებიდან, მე იმს კი არ ვამტკიცებ, რომ საზოგადო უკულმართობას არ შეეძლო გავლენა ექონია ოვედორე პროტასოვზე, არამედ მას, რომ ის ჩამოქვეითდა სრულიად ხელ-გაუნძრევლად, უბრძოლ-ველად; შეიძლებოდა ბრძოლაში ის იმდენადაც გამაგრებულიყო, რომ დაცემის მაგიერ ამაღლებულიყო და ბოლომდის შერჩენოდა თავის ადამიანურს მოვალეობას.

### III

ახლა გავარჩევ ბატონებო, უმთავრესს აზრს პიესისა და მოკლედ გამოვსთქვამ ჩემს აზრს, ზოგ მომქმედ პირებზედაც: უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ პროტასოვი თავისი მოქმედებით თავისუფალ გზას აძლევს ცოლს, რომ სხვას შეუერთდეს, და აი ეს აზრია პიესაში გატარებული, რომ როდესაც ვერ შეგწყობიან ერთმანეთს ცოლ-ქმარი, უმჯობესია მისცენ ერთმანეთს თავისუფლება და დასტოვონ ერთმანეთიო.

თუმცა მისაღებია მხედველობაში ეს აზრი, მაგრამ მე მაინც არ შემიძლიან დავთანხმო ამ აზრს გადაჭრით, რადგან ასე რომ ყოფილიყო, პროტასოვი ჯერ ეტუოდა ცოლს სრულიად დამშვიდებულია: ჩვენი ქორწინება შეცდომა იყო, მე ვერ შეგვთვისე შენ... ახლა მაღლობა განგებას, შენ უფრო შესაფერი ამხანაგი აღმოგიჩნდა, მაგასთან უფრო ბედნიერი იქნები, შენ მართალია გგონია რომ მე მეტად გიყვარვარ, მაგრამ ესეც შეცდომაა და გთხოვ, თუ გსურს ჩემი ბედნიერება და გულ-წრფელად გიყვარვარ, განმათავისუფლეო, მეც ვეცდები როგორმე უკედ მოვაწყო ჩემი საქმეო; და აი ასე,

თის ზომების შემდეგ დაიწყებდა ციგანკებთან ხეტიალს და გადაიქცეოდა ისეთ ლოთ მაწანწალად, როგორსაც ვხედავთ მას, მაგრამ არამც თუ ასე არ იქცევა პროტასოვი, არამედ, კიდეც ეძნელება თავისუფლება მისცეს ცოლს და იგონებს მიზეზს. — „არ შემიძლიან ყველა ის სიცრუე ვიტვირთო, რომელიც საჭიროა განქორწინებისთვის“ - ა, ამავე დროს კი არ ერიდება მეორე ტყუილს და სწერს წერილს თავი მოვიკალიო.

ამაზედ იტყვიან: - „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, - რატომ ერთი ტყუილი შეიძლება და მეორე არა?

შეიძლება კაცმა თავი შესწიროს სხვების ბეღნიურებას, მაგრამ თითონ კი ადამიანად დარჩეს ისევ; თავის შეწირვას კი მაშინ დამტკიცებდა პროტასოვი, როდესაც ზემოდ მოყვანილ ზომების შემდეგ დაეცემოდა და არა წინ-და-წინ.

მე ვგონებ, ავტორს სურვილი ჰქონდა-პიესაში გაეტარებინა ის აზრი, რომ ოდესაც პატიოსანი თევდორე პროტასოვი, ჩამოქვეითდა იმდენად, რომ ცოცხალ-მკვდრად გადაიქცა და ამისი მიზეზი უპირველესად იყო ღვინო, როგორც თითონ ამბობს პროტასოვი, და მეორედ, ციგანკები და შავი თვალები. მაგრამ თუ ეს აზრი ძრიელ მკრთალად არის გატარებული პიესაში, მიზეზი პიესის დაუმთავრებლობაში უნდა მდგომარეობდეს. ვგონებ ეს პატარა პიესა სხემაა, რომ თავისებური მრთელი და ვრცელი ნაწარმოები მოეძღვნა ჩვენთვის ავტორს. ამასთანავე ვფიქრობ: რომ შესაძლებლად ეცნო გამოქვეყნება და დამთავრებულად ჩაეთვალა, თვით გამოაქვეყნებდა კიდეც სიცოცხლეში.

რაკი სიტყვა ჩამოგვიგდეს, მეტად საჭირბოროტო საკითხებები: როცა ვერ შეეწყობიან ერთმანეთს ცოლ-ქარი, უმჯობესია მისცენ ერთმანეთს თავისუფლებათ, არ შეიძლება არ შეეგეკითხოთ ამაზეც, თუ საით წავიდეს მერე ქალი დღევანდელს პირობებში, მარტო თითო-ოროლა პირის საკეთილ-დღეოდ ხომ არ უნდა ვიზრუნოთ? ყველას ხომ ლიზასავით

სხვა „საუკენიხოები“ არ გამოუჩნდებათ კიდევ? თედორეებს კი რა უშავთ, თუ უკეთესებს ვერა, მაშასთანა ციგანკებს ხომ მაინც იშოვნიან და კმაყოფილნიც იქნებიან. მაშასადამე, ერთის მხრიო რომ შევვხოთ საკითხს, მეორე და მესამეც არ უნდა გვავიწყდებოდეს, თორემ ეს იმას ჰვავს, რომ მითხრათ ეს გზა კარგია და იმ გზამ კი კლდეზე გადამჩეხოს. ესთქვათ, — ლიზას არ გამოსჩენოდა კარენინი, ვერც ოზდა-ხუთ შანეთიანი სამსახური ეშოვა საღმე, რომ თავი ერჩინა, უფლება ექნებოდა მიეცა პროტასოვისთვის თვისუფლება სადაც გნებავს მიბძანდიო? მე მოგახსენებთ, რომ არ ექნებოდა უფლება, რადგან შვილი ჰყავდა და ამ პატარას უფრო დასჭირდებოდა მისი მზრუნველობა, ვიდრე თითონ.

ჩვენ ვიცით, რომ პირუტყვები და ფრინველნიც არა სტოვებენ თავიანთ შეილებს, ვიდრე არ დაზრდიან და არ დააფრენენ, მაგრამ დღეს, ჩვენდა შესარცხვენად, ადამიანები ოდნავაც არა ზრუნავენ ამ მოვალეობისთვის, როგორც თევდორე პროტასოვი და მასთან მრავალი სხვა მშობლები.

ბევრს დედ-მამას ხომ სატრაბახოდაც აქვს ეს დღეს და თავმომწონედაც სტოვებენ შვილებს ბედის ამარად.

სხვა პატივსადებ მიზეზთა გარდა, ეს მოვლენა გადამდები ხდება, ამ ცალ მხრივად გავრცელებულ აზრის გამოც, რომ რაკი ყველაფრიო ვერ შეეწყობიან ერთმანეთს ცოლქმარი, უსათუოდ უნდა გაიყარნენო და ამას კი აღარ ხსნიან რომ დღევანდელ პირობებში ეს ძნელი მოსახერხებელია შვილების მოვალეობის გამო და ყველასთვის არ არის ხელ მისაწდომი.

ამასთან, საჭიროა აღვნიშნო, რომ უფ. სმოლენსკი სრულიად უადგილოდ შეეხო ქალების მოდებს, რომლებშიაც თითქმის ველარ ჩამოგვრჩებიან დღეს ნამა-კაცებიც. აღარა აკლდა რა უფ. სმოლენსკის რომ არამც თუ ლიზა, არამედ უველა ქალები არ ეღიარებინა პროტასოვთან დამნაშავედ,

რაზედაც იქვე განვაცხადე ჩემი პროტესტი. მაშ აბა გავიცნოთ  
ბატონებო, პროტასოვის მეუღლე ლიზაც იქნება მართლა  
დამნაშავეა პროტასოვთან? რომ არა ჰყარებოდა ლიზას პრო-  
ტასოვი, ეჭვს გარეშეა, არც წაჟყვებოდა მას. რადგან უკვე  
ჰყავდა მეორე საქმრო-კარენინი. შეიძლება შესცდა არჩვანში,  
ორივე უყვარდა, მაგრამ რომელი ნამდვილად არ იცოდა და  
როდესაც უფრო დაუახლოვდა ორივეს, მაშინ კარენინმა გა-  
დასძლია? თუმცა პროტასოვს ებადება ამისი ეჭვი, მაგრამ ეს  
სრული შეცდომაა, არა ერთხელ აიტანა ლიზამ პროტასოვის  
მიერ მიყენებული შეურაცხება, მაგრამ აი კიდევ რას უპასუ-  
სუხებს კარენინს, როდესაც ეს უკანასკნელი ეკითხება: — „ახლა  
ნანობთ, რომ დასთანხმდით მოშორებაზე“-ო; კიო, უპასუხებს  
ლიზა მე ვიგრძენ, რომ ეს ცუდია ჩემის მხრით, რომ მე არც  
შემიძლიან ცველაფერი სჯობს ავიტანო, ვიდრე გავეყარო  
მასაო.

ერთი სიტყვით შენ მას მიეცი ჩემი წერილი, გეთაყვა  
მიეცი და მოიყვანეო, ემუდარება ლიზა კარენინს. მასთან  
უმატებს: მე თქვენ იმიტომ გთხოვთ, რომ ვიცი თქვენ გი-  
ყართ ისაო

მე მითხრეს რომ ის წავიდა ციგანკებთან, და აი ამისი  
მეშინიან ამ გატაცებისაო. ვიცი რომ, თუ თავის დროზე არ  
შევაკვეთ, ის ჩაიფლობა ამაშიო.

აი რა გულ-მტკვრნეულად და გულ-წრფელად ზრუნავს  
ლიზა საყვარელ მეუღლისათვის და სრულიად არ აქცევს  
ყურადღებას მას, თუ კარენინი სხვა გრძნობით უყურებს. ლი  
ზა დარწმუნებულია კიდეც, რომ სიყვარული კარენინისა იყო  
და წავიდა.

როდესაც ლიზა გაიგებს პროტასოვის თვით-მკვლელო-  
ბაზე ამბავს. ის შეწუხებაში ვარდება და ამბობს: ტყუილია,  
რომ მე არ მიყვარდა ისაო, მიყვარს მხოლოდ ის ერთი, მი-  
ყვარს და მე ის დავლუპე, დამანებე თავიო, ეუბნება კარენინს.

გავარჩიოთ კიდევ, ლიზას ზნეობრივი მხარეები სხვა მხრი-  
თაც: ლიზა, ნაზი მშობელი და მოსიყვარულე თვისების  
ადამიანია, აგრეთვე პატივის-მცემელი სხვათა პიროვნებისა;  
ორი დღე და ღამე სდარაჯობს შვილს უსმელ-უჭმელი,  
და როდესაც საჭიროა, რომ მისცეს ფული ექიმს თავის გა-  
სამრჯელოში, ცერ გაუბედნია, ვერა ჰქადრებს ექიმს,— მისცეს  
ორი გროში მართლაც და იმ ღიდ შრომაში. რომელიც გას-  
წია მისთვის ექიმმა. იმან გადამირჩინა მეტი, ვიდრე ჩემი სი-  
ცოცხლე, და მე კი მას ფული უნდა მივცეო, აქ რაღაც არის  
მეტად არა სასიამოვნოო. როდესაც კარენინის დედა სთხოვს  
ლიზას, რომ დაანებოს თავი იმის შვილს, აი რას უპასუხებს  
აქაც ლიზა: დააჯერეთ ის, რომ დამანებოს თავი და მე თანა-  
ხმა ვარო, მე მიყვარს ის იმისივე გულისთვის და არა ჩემი  
ბედნიერებისთვის. ერთი სიტყვით, ლიზასთვის სხვების ინ-  
ტერესი სდგას ყოველთვის პირველ რიგში და არა თავისი საკუ-  
თარი.

დასასრულ, ეს გახლავთ ბატონებო ჩემი დასკვნა, რომ  
პროტასოვი დასკა და ჩამოაქვეითა ღვინომ, ღვინისაგან და-  
ცემულებს ვხედავთ ჩვენ, პიესის სხვა გმირებსაც,— პროტასო-  
ვის ამხანაგებს, პეტუშკოვს და ივანე ალექსანდროვს. ივანე  
პეტრეს ძე ალექსანდროვიც, როგორც სხანს პიესიდამ, ძა-  
ლიან ფხიზელი გონებისა ყოფილა. ირონიით და მასთან ორ-  
აზროვნად ელაპარაკება ალექსანდროვი პროტასოვს, როდე-  
საც ეს უკანასკნელი თავის მოკვლას აპირობს.

თუმცა ფხიზელი არ არის იმ დროს ალექსანდროვი და  
ღვინო ალაპარაკებს, მაგრამ მანც საყურადღებო აზრებს გა-  
მოსთქვამს: შენი გრძელი მგზავრობის სადღეგრძელო იყოსო,  
დასკინის ალექსანდროვი პროტასოვს, მე ხომ მაგაზე მაღლა  
ვსდგევარ, მე არ დაგიჭერ შენო, სიკვდილ-სიცოცხლე გენიო-  
სისთვის სულ-ერთიაო.

შენ მოიკლავ თავს, რომ იმათ, ორ ადამიანს დაენანოო,

მე კი მოვიკლავ თავს იმიტომ, რომ მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რა დაჭკარგა მანაო. მე არც დავიწყებ ყოყმანს და ფიქრსა, ავიღებ რევოლვერს, ერთიდა მზაა, მაგრამ ჯერ ადრეა და მე დასაწერიც არაფერი მაქვს, ისინი თითონ უნდა მიხვდენო. მერე, ვითომ თავისთვის ლაპარაკობს ალექსანდროვი: „საცოდავი ხალხი! ჩეირკედელობენ, ფუსფუსებენ და კი არ ესმით, - არაფერი არ ესმით. მე შენ კი არ გეუბნები“, — მიმართავს ის პროტასოვს, — „მე ისე ვამბობ ჩემს აზრს, და რა არის საჭირო კაცობრიობისთვის? ძიელ ცოტა: დააფასონ თავიანთი გენიოსებიო; ისინი კი ყოველთვის სჯიდენ იმათ, სდევნ-დენ, აწამებდენო. არა, მე არ გავხდები თქვენი სათამაშო, — მიმართავს ახლა ის მთელ ქვეყნიერებას, — „მე თქვენ მშრალზე გაგიყვანთ, ფრაისევ-ლებო“ — ო.

როგორც ჰედავთ, მთერალია, მაგრამ ფხიზლად მსჯელობს ალექსანდროვი და ამის დაცემის პირდაპირი მიზეზიც ღვინოა, როგორც თევდორე პროტასოვის და მრავალი სხვ-ბის, რუსეთის სამფლობელოში. რუსები განსაკუთრებით, რომ ლებმაც თავიანთის დიდსულოვნებით და მაღალის გრძნობით, იმდენად აამაღლეს თავიათნი ლიტერატურა რომ ყველა განათლებული ქვეყნები რუსეთის პარლამენტად სთვლიან, სხვა მხრივ ჩამორჩენ და სხვებზე დაბლა სდგანან ჩემის აზრით, ამავე ღვინის მიზეზით, რომელიც აჩლუნგებს არამც თუ საშუალო ხალხის გრძნობა ჯონებას, არამედ. თევდორე პროტასოვისთანა და მის ამხანაგთა მგზავს ფხიზელ — გონებითაც.

და თუ რუსეთის ხალხს უნდა წინ წაიწიოს დაამაღლდეს, უპირველესად ყოვლისა, მათ თავიანთ ღვინოს უნდა გამოუკადონ ბრძოლა. მათ უპირველესად უნდა მოსპონ ის მონოპოლიური სკო ადგი, სადაც ჩამწკრივებული ელიან ხოლმე რიგს ბოთლებით დატვირთულ ორივე ხელებით ჯიბეებით.

ერთი სიტყვით, პროტასოვისთანა აღამიანის სიცოცხლე, შეურაცხებაა სხვა აღამიანებისაც, და თქვენ, მოზარდოთ თაობა. იმედნო სახოგადოებისა, იმედნო მშობლებისა, თუ თდესმე ბედმა გიმუხალოთ და ჩამოქვეითდეთ პროტასოვამდრის, მა-შინ, ჩემი მეგობრული რჩევაა—-თუ ერთხელ აიცინოთ რყვია შუბლში, მეორედ და მესამედ დაიმიზნეთ გულში.

1912 წ. 14 სექტემბერს.

